

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-15/2
1991

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

117

3. 1991

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ქურონალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



3. 1991

გამომცემლობა „მედიცინა“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕДИЦИНА»

თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე ლ ა ქ ი ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიქვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкrellidze O. K., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарadze Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და საშობრთლის სერია, 1991 № 3

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ჭიჭობის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 29.07.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.10.91; შეკვ. № 1356;
ანაწყოების ზომა 7×12; ქალაღდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 8.45;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.00 ტირაჟი 700;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;

Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

ა. ბერიძე, საბაზრო ეკონომიკა და მისი უარყოფის უსაფუძვლობა მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ	5
ბ. ჟანღაშვილი, მიწის საკუთრებისა და მისი განაწილების საკიოზისათვის	15
გ. ჩანტლაძე, ინფრასტრუქტურა, მისი არსი და მნიშვნელობა, სოციალური ინფრასტრუქტურა	22
დ. შარაძე, რიონზე ნაოსნობის ისტორიიდან	32
ე. ცუცქერიძე, რეგიონის დარგობრივი სისტემების განვითარების დონას მაკროეკონომიკური შეფასების მეთოდური საფუძვლების სრულყოფის შესახებ	49
ვ. ჩანტლაძე, სამეურნეო ანგარიში, თვითღირებულება და მოგება ამიერკავკასიის კომუნალურ მეურნეობაში (1920-1940 წ.წ.)	53

სამართალი

ა. მამინაშვილი, შეურაცხად პირთა სამართალწარმოების თავისებურებანი და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები	66
ბ. ნალარეიშვილი, გააჩნდა თუ არა რუსთაველს ინფორმაცია სიმღერების წიგნის „შინძინ“-ის შესახებ	76
გ. ტაღინაძე, სისხლის სამართლის რეისლამიზაციის საკითხისათვის ირანში	82

რეცენზია.

რეცენზია გ. ნადარეიშვილის წიგნზე „ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, თბ., 1989, გვ. 98	94
---	----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

А. А. Беридзе, Рыночная экономика и несостоятельность ее отрицания классиками марксизма	5
В. С. Кондашвили, К вопросу о собственности земли и ее распределении	15
М. Г. Чантладзе, Инфраструктура, ее роль и значение, социальная инфраструктура	22
О. Х. Шарадзе, Из истории судоходства на реке Риони	32
М. В. Цуцкиридзе, О совершенствовании методических основ макроэкономической оценки уровня развития отраслевых систем региона	49
А. Э. Чантладзе, Хозяйственный расчет, себестоимость и прибыль в коммунальном хозяйстве Закавказья (1920—1940 гг.)	53

ПРАВО

М. Н. Мамниашвили, Особенности поведения невменяемых и вопросы совершенствования законодательства	66
Г. Н. Надарейшвили, Имел ли Руставели информацию о книге песен «Шицзин»?	76
С. Теленбах, К вопросу о реинсламизации уголовного права в Иране	82

РЕЦЕНЗИИ

Рецензия на книгу Г. Н. Надарейшвили «Нико Марр и вопросы истории грузинского права»	94
--	----

ე კ ო ნ ო მ ი კ ა

აბლი ბერიძე

საბაზრო ეკონომიკა და მისი უარყოფის უსაფუძვლოება მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ

1988/51

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ერთგვარი აქტი არ არის, იგი საფეხურებრივად უნდა განხორციელდეს. უწინარესად ყოვლისა, აუცილებელია ე. წ. ერთიანი საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსის „მარწყხებისგან“ თავისუფალი რესპუბლიკური სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, ანუ ეროვნული ეკონომიკის ფორმირება, სადაც მაქსიმალურად იქნება ინტეგრირებული შიგარესპუბლიკური რეგონები, ეროვნული სამეურნეო-საფინანსო სტრუქტურების ბაზაზე (გარდამავალ პერიოდში, იგი მთლიანად თავისუფალი ვერ იქნება დირექტიული მმართველობის ელემენტებისაგან). ეროვნული ეკონომიკის ფორმირების პარალელურად უნდა წარიმართოს მისი ხელოვნური დახლეობა მრავალწილობიან, შერეულ ეკონომიკად, რითაც ფართო გასაქანი მიეცემა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების: კერძო საკუთრების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების კონკურენციის ამოქმედებას. ეროვნული სტრუქტურების ბაზაზე აღმოცენებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გახდება მტკიცე საფუძველი საქართველოს ჩართვისთვის რესპუბლიკათაშორისო და საერთაშორისო ბაზრებში.


საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქონელმწარმოებლება ძირითადად ორიენტირებული არიან არა გეგმაზე, არამედ — სასაქონლო ბაზარზე. ისინი მუშაობენ საკუთარ რისკზე და ჩართულნი არიან ერთმანეთს შორის ეკონომიკურ კონკურენციაში, სადაც იმარჯვებს ის, ვინც მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასში აწარმოებს მეტი რაოდენობის, დეფიციტურ და ხარისხიან პროდუქციას.

ეს ხომ ჩვენი ხალხის სანუკვარი ოცნებაა. მაშ, რატომ თერხდება მასზე გადასვლა?

სინამდვილეში, საქმე არც ისე მარტივადაა როგორც მოვლენათა ზედაპირზე ჩანს. სიმძნელე, არსებითად, იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, მოიცავს არა მხოლოდ სასაქონლო ბაზარს, არამედ კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებსაც. ღვთაებრივი სამების მსგავსად, ისინი ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული, ერთი არსისანი არიან და ერთიანობაში აღიქმებიან მხოლოდ. მათ ცალ-ცალკე ნორმალური ფუნქციონირება არ ძალუძთ. ერთმანეთისგან იზოლაციის შემთხვევაში ისინი დეფორმაციას განიცდიან.

სასაქონლო ბაზარი განვითარებული სასაქონლო წარმოების დამაგვირგვინებელი ეტაპია. სწორედ, იგი განსაზღვრავს კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადადინებას ერთი დარგიდან მეორეში. სასაქონლო ბაზრიდან ახალ-ახალი მოთხოვნების მათწიებელი, იმპულსების განუწყვეტელი გადაცემა კაპიტალის ბაზრისადმი, ამ უკანასკნელის გავლით — სამუშაო ძალის ბაზრისადმი და

საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულატორები



შემდგომ უკურთხეულობები აღნიშნული ბაზრების მიმართულებით არის საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების წყარო.

ეკონომისტთა აბალკინისეული სკოლა და რეალისტური სკოლის იდეოლოგი ვ. იაკუშვიდი ცდილობენ ამ ერთიანობიდან ამოგლიჯონ სასაქონლო ბაზარი და კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებისგან იზოლირებულად ჩააყენონ იგი საზოგადოების სამსახურში. ეს არის სოციალიზმის ნახევრადსასაქონლო მოდელის შენარჩუნების მცდელობა, რომელმაც ფაქტობრივად არ გამართლა არც სსრკ-ში და არც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ჩეხოსლოვაკიის სფრ-ის მთავრობის თვითრეგულირებამ გააკეთა განცხადება, რომ „საბაზრო ეკონომიკა ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით“ (ვახ. „პრაგმა“ 12.01.1990, რუსულ ენაზე).

ჩვენ თუ გვინდა შევქმნათ სრულფასოვანი სასაქონლო ბაზარი და არა ნახევრადსასაქონლო სოციალისტური ბაზარი უნდა დავუშვათ კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებიც.

კაპიტალის ბაზრის დაშვება ნიშნავს საფონდო ბირჟის დაშვებას. აქ ხდება აქციების (ფასიანი ქაღალდების) ყიდვა-გაყიდვა, ამა თუ იმ საწარმოს რაიმე ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემა ერთი ხელიდან მეორეში. კაპიტალი არ არსებობს მესაკუთრე სუბიექტის გარეშე. სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული ბრძოლა მხოლოდ კაპიტალის მესაკუთრეებს შეუძლიათ. სასაქონლო ბაზარი კაპიტალის ბაზრის ნაყოფია, მოვლენათა ზედაპირზე კი იგი წარმოგვიდგება როგორც ფულისა და საქონლის სრულუფლებიან მესაკუთრეებს შორის ნებაყოფლობითი გაცვლის პროცესი.

საბაზრო ეკონომიკის ცენტრში, საბოლოო ჯამში, ადამიანი დგას მისი სხვადასხვაგვარი მოთხოვნითა და ჭირვეულობით. რამეთუ იგი არის სასაქონლო ბაზარზე გატანილი სარეალიზაციო საქონლის აკვარგვიანობის საბოლოო და ობიექტური შემფასებელი. ადამიანზე, როგორც მომხმარებელზე, უშუალოდ არის დამოკიდებული საქონელმწარმოებელთა ბედი.

კაპიტალის ბაზარი, რომელიც სასაქონლო ბაზართან მჭიდრო კავშირშია, სწრაფ რეაგირებას ახდენს: მომხმარებლის მოთხოვნის ცვალებადობის მიმართ; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა მიმართ; პერსპექტიული საბაზრო კონიუნქტურის მიმართ და სხვ. სახსრების გადაღინება სასაქონლო ბაზრისათვის საჭირო საქონლის მწარმოებელ დარგებში, საწარმოებში, მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოს უშუალო ჩარევის გარეშე ხდება. კაპიტალის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი თვითრეგულატორის ფუნქციას ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ თეორიულ „ფრონტზე“ არ არსებობს აზრთა ერთიანობა, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის. საქართველოში უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს სასაქონლო და საფონდო ბირჟები (ყავასისის ბირჟა, თბილისის უნივერსალური ბირჟა). რაც შეეხება სამუშაო ძალის ბირჟას, კლასიკური სახით, იგი ჯერ კიდევ, არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ მისმა „ყლორტებმა“ უკვე შესამჩნევად იჩინა თავი, ახალი კოორპერატივების, მცირე და ერთობლივი საწარმოების აღმოცენებასთან ერთად. აღრე, სამუშაო ძალის ფასზე გამყიდველსა და მყიდველს შორის ვაჭრობა არ წარმოებდა, რადგან მისი მონოპოლიური მყიდველი იყო სახელმწიფო. დღეს, კი, მას უჩნდება რეალური კონკურენტები. ისინი სამუშაო ძალის გამყიდველს თავის საქონლისთვის უხდინან ორმაგ და უფრო მეტ ფასს, ვიდრე სახელმწიფო. ეკონომიკის კერძო სექტორის მომძლავრებასთან ერთად, სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერთოს სამუშაო ძალის მიზიდვისთვის კონკურენტულ ბრძოლაში. ასე ეცლება საფუძველი სახელმწიფოს მონოპოლიურობას სამუშაო ძალის ბაზარზე.

თანდათან ყალიბდება სამუშაო ძალის თავისუფალი ბაზარი. საქიროა ამ პროცესის დაჩქარება, რათა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მშრომელთა სულ უფრო მეტმა წილმა თავი დააღწიოს მათხოვრულ ხელფასს და შეძლოს ჯანსაღ ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვა. ახალი კოორპერატივები, მცირე და ერთობლივი საწარმოები, სამუშაო ძალის თავისუფალი ბაზრის გაფართოების მხრივ, ამინდს არსებითად ვერ ცვლიან. რამეთუ ეკონომიკის დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ, სახელმწიფოს განკარგულებაში რჩება.

გამოსავალი მხოლოდ იმაში ჩანს, რომ დაჩქარდეს თვით მონოპოლიური სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია. რის საფუძველზეც გამრავლდებიან კერძო საქონელმწარმოებლები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან არა ზემდგომი ორგანოების მიმართ და ცენტრალიზებულ გეგმაზე, არამედ თავისუფალ ფასწარმოქმნაზე, კონკურენციასა და მოგებაზე. სწორედ, ეს არის საბაზრო ეკონომიკა, სადაც კაპიტალის ბაზარი, სამუშაო ძალის ბაზარი და სასაქონლო ბაზარი ბუნებრივად ემორჩილება ადამიანის (საზოგადოების), როგორც მომხმარებლის მრავალფეროვან მოთხოვნილებებს (ინტერესებს).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მონოპოლიური სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია-პრივატიზაციის დროს მოსალოდნელია სხვადასხვა სოციალურ ძალებს შორის დაპირისპირება.

ცივილიზაციის ისტორია ცხადპყფს, რომ საზოგადოებაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები (როგორც პროგრესული, ისე რეგრესული) ყოველთვის მტკივნეულად ვითარდება, რამეთუ ხალხი, საზოგადოება თავისი ბუნებით კონსერვატორია. მაგალითად: II მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში ამერიკელებმა იძულებით მოახდინეს მონოპოლიების დეცენტრალიზაცია. რითაც, იქ შექმნეს წინაპირობები დემოკრატიისთვის. ამან, კი თავის მხრივ, იაპონიის ეკონომიკის აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი.

სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაცია-პრივატიზაციისათვის აუცილებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ, საქიროების შემთხვევაში, აღმინისტრაციული დაწოლის მოქნილი მექანიზმის ამოქმედება. აუცილებელია, აგრეთვე, სასამართლო ხელისუფლების დიდი ძალისხმევა: რათა დამკვიდრდეს

და საიმედოდ იქნას დაცული ადამიანის თავისუფლების, დემოკრატიის სუბიექტად მისი გადაქცევის საფუძველი — კერძო საკუთრების უფლება; რათა აღდგენილი იქნას ადამიანებში კერძო საკუთრებისადმი პატივისცემის გრძობა, რომელიც მარქსიზმმა ჩაკლა და გააფერმკრთალა ე. წ. საერთო-სახალხო საკუთრებაში.

მარქსის მოძღვრების მიხედვით, კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ბაზრის უარყოფა იმისთვის არის საჭირო, რომ მოისპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, ადამიანის გაუცხოება საკუთრებისგან, შრომის შედეგებისგან. სინამდვილეში, რუსეთში, სოციალისტური რევოლუციის შედეგად გამოვიდა ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა თვით კ. მარქსი, კერძოდ: ქვეყანაში გაბატონდა სახელმწიფო საკუთრება, სხვადასხვა ჯურის უწყებთა მონაპოვით და გაბერილი ბიუროკრატიული აპარატით. (რომელიც მძიმე ტვირთად აწევს მთელ საზოგადოებას); უშუალო მწარმოებლები გაუცხოებული აღმოჩნდნენ, არამარტო წარმოების საშუალებებზე საკუთრებისაგან და აქედან გამომდინარე, შრომის საბოლოო შედეგებისგან, არამედ საკუთარი სამუშაო ძალისგანაც.

მარქსი იბრძოდა რა კერძო საკუთრების, თავისუფალი ბაზრის წინააღმდეგ, ვერ წარმოედგინა, რომ ამით, ის ართმევდა ადამიანებს ეკონომიკური და სულიერი თავისუფლების ამოსავალ პირობებს: მოხმარების სავენების თავისუფალი არჩევის უფლებას; სამუშაო ძალის თავისუფალი გაყიდვის უფლებას; პირადი ცხოვრების თავისუფალი მოწყობის უფლებას და სხვ. ყოველივე ამას, მარქსიზმის კლასიკოსები ეძახდნენ ნახტომს აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში. სინამდვილეში, ეს არის ნახტომი უფრო მკაცრი აუცილებლობის სამეფოში, სადაც ბატონობს ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ვერტიკალური სისტემა და მასთან დაკავშირებული ცენტრალიზებული განაწილებითი ურთიერთობა. აქ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ეკონომიკურად და სულიერად ითრგუნება ვერტიკალურ-იერარქიული ბიუროკრატიული სისტემის წნეხის ქვეშ. აქ, ბიუროკრატია და არა ბაზარი განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის განაწილების წესს და იმ სიდიდეს, რომელიც ადამიანებს ეძლევათ ხელზე. აქ, ბიუროკრატია და არა ბაზარი წყვეტს იმას, თუ ადამიანებმა რა უნდა აწარმოონ და მოიხმარონ, რა როდენობის და როდის და სხვა ათას წვრილმანს.

მარქსი გმობდა რა კერძო საკუთრებას, სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს, კონკურენციას, როგორც ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისების წინაპირობებს, ვერ გრძნობდა, რომ ამით ის სპობდა საზოგადოებრივი წარმოების თვითგანვითარების ბუნებრივ სტიმულებს და გზას უხსნიდა მართვის გარეეკონომიკურ, დირექტიულ მეთოდებს. დირექტიული მეთოდების გაბატონებით საზოგადოება თავისუფლდება ჭარბწარმოების კრიზისების მავნე სენისგან, მაგრამ ავადდება არანაკლებ მავნე სენით — ქრონიკული ნაკლებწარმოების, მეურნეობრიობის დაბალეფექტიანობის, დეფიციტის სენით.

დღეს, როდესაც ფართოდ გაშალა ფრთები „სტალინური“, „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური“, „ყაზარმული“, „გამთანაბრებლობითი“ თუ სხვა ხასიათის სოციალიზმის კრიტიკამ, ჩრდილში რჩება არსებითი საკითხი: შესაძლებელი იყო თუ არა, საერთოდ, აშენებულიყო „არადმინისტრაციულ-მბრძანებლური“, „არაყაზარმული“, „არაგამთანაბრებლობითი“, ანუ ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი.

ჩვენი აზრით, არასაბაზრო ეკონომიკის პირობებში (როდესაც მოსპობილია კერძო საკუთრება და კონსურენცია, შეზღუდულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები), საწარმოო ძალების განვითარების მხრივ, უადრესად განვითარებულ ქვეყანაშიც კი გზა ეხსენება ტოტალიტარიზმს, მისი ყველანაირი გამოვლინებითურთ. მარქსისტული მოძღვრება, ახალი პროგრესული საზოგადოების აშენების შესახებ, სადაც გაბატონებული იქნება „არასასაქონლო წარმოება“ და „უშუალო-საზოგადოებრივი“ ურთიერთობები, საფუძველშივე მცდარია.

რა მცდარი დებულებები დაედო საფუძვლად მარქსისტულ მოძღვრებას? მარქსმა, ჰეგელის დიალექტიკის გადაბრუნებით, ადამიანი, როგორც აბსოლუტური სულის ნაწილი, გადაქცია წარმოებით (ეკონომიკურ) ურთიერთობათა ნაწილად (ჰანჟიკად). მან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემიდან გამოყო წარმოებით ურთიერთობათა სისტემა, ამ უკანასკნელისგან „ეკონომიკური უჯრედი“ — საქონელი, რომლის ანალიზის საფუძველზე ხსნიდა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს. ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტად გამოაცხადა. ამით, მან ხაზი გაუსვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრიმატს ინდივიდთან მიმართებით, ადამიანის ფსიქოლოგიასთან, მის სულიერ სამყაროსთან მიმართებით.

საზოგადოების ისტორიული განვითარების წყარო, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის საფუძველთა საფუძველი უნდა ვეძებოთ არა ეკონომიკურ ურთიერთობებში, არამედ უწინარეს ყოვლისა თვით ადამიანში, როგორც ამა თუ იმ ერის ნიშან-თვისებათა მატარებელ „უჯრედში“. მეცნიერება საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა შესახებ, წარმოების წესის შესახებ მოკლებულია ობიექტურობას თუ კი მას საფუძველად არ უდევს ადამიანის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი სამყაროს, ერის წარსულისა და აწმყოს ანალიზი.

კ. მარქსის ახალგაზრდობის დროინდელი ნაშრომები ჰუმანურობით გამოირჩევა, ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას. შემდეგ იგი იცვლის თავის აღრიწდელ შეხედულებებს, ისტორიის ბედს პროლეტარული რევოლუციის ბედს უკავშირებს და კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის იდეის აბოლოგეტი ხდება.

გამოჰყავდა რა კომუნისტური საზოგადოების კონტურები, კ. მარქსი, აბსტრაგირებას ახდენდა ყოველი ადამიანისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი, ბუნებრივად თანდაყოლილი, მისი გაგებით უარყოფითი თვისებებისაგან. ეს, თვისებებია: შური; ეგოიზმი; სახელის; სიმდიდრის და ძალაუფლების მოპოვებისკენ სწრაფვა და სხვ. მას არ უნდოდა დაენახა, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი თავმოყვარეობის მონაა, რომ სხვა ადამიანებთან შეჯიბრებაში გამარჯვების უფროსი ყოველ ადამიანში ზის. იგი ვერ ამჩნევდა, რომ ყველა ეს თვისება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროებში, უფრო მძლავრად კი ეკონომიკურ სფეროში, თავის განზოგადოებულ გამოხატულებას ჰპოვებს კერძო (პირადი) შესაკუთრების თვისებით. ეს სულიერი თვისება ადამიანს დაბადებიდან ენათლება და სიცოცხლის ბოლომდე თან სდევს. ამ თვისების ექსპროპრიაცია არავითარ რევოლუციას არ ძალუძს. სანამ არსებობს ადამიანი, მანამ იარსებებს მისწრაფება კერძო საკუთრებისადმი, მასთან დაკავშირებულ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებისადმი.

მარქსს თავისი ოცნების საზოგადოება წარმოდგენილი ჰქონდა ისეთი ადამიანების სახით, რომლებიც სულიერად მაღალგანვითარებულნი არიან, რომელთაც გააჩნიათ სიანდისის გრძნობა და სილაშაჰის შეგრძნება, რომლებმაც გადალახეს სიმდიდრის წყურვილი და კერძო მესაკუთრეობის გრძნობა. იგი იმედოვნებდა, რომ მომავალში ადამიანის ბუნება რადიკალურად შეიცვლება, რომ მას აღარ დასჭირდება კერძო საკუთრება, სასაქონლო ფულადი ურთიერთობები, კონკურენცია, შრომისადმი ეკონომიკური იძულება და სხვ.

ოქტომბრის რევოლუციის მოტიანილმა „სამხედრო კომუნიზმის“ კრახმა, „ნებ-ის“ დაშვებამ, „ნახევრად სასაქონლო“ სოციალიზმის 70 წლიანმა პრაქტიკამ და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებამ ნათელჰყო: რომ ადამიანის (კერძომესაკუთრული) ბუნება არ იცვლება ისე სწრაფად როგორც ამას მოელოდნენ მარქსიზმის კლასიკოსები, რომ მასების უდიდესი ენთუზიაზმით აღზევების პერიოდშიც კი. აუცილებელი ხდება ეკონომიკური დაინტერესების სხვადასხვა ფორმების გამოყენება, სასაქონლო ფულადი ურთიერთობების ელემენტების ამოქმედება.

ადამიანებს შორის „საგნობრივი კავშირი“, სასაქონლო-ფულადი, საბაზრო ურთიერთობები უფრო მეტ თავისუფლებას, სოციალური სამართლიანობისა და სოციალური დაცულობის გარანტიებს უტოვებს ადამიანს, ვიდრე „უშუალოსაზოგადოებრივი“ ან „ნახევრად სასაქონლო“ ურთიერთობები.

სასაქონლო ურთიერთობები ჩანასახობრივი ფორმით გაჩნდა ადამიანის დედამიწაზე გაჩენასთან ერთად და ვითარდება თვით ადამიანის (საზოგადოების) განვითარებასთან ერთად.

პირველყოფილ ადამიანში კერძო მესაკუთრეობის გრძნობა ინსტიქტურ ხასიათს ატარებს. ეს გრძნობა მასში დაპროგრამებული სახით ძვეს. პირველყოფილი ადამიანი ცდილობს მიითვისოს მის გარშემო არსებული ყველა საგანი, რაც მისი (პირად) ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა, თანდაყოლილ გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის არის საჭირო. ადამიანის მოთხოვნილებათა სფერო, თანდათან, მასზე გარე სამყაროს ზემოქმედების შედეგად, ფართოვდება და მრავალფეროვნდება. ბუნების მიერ მზამზარეულად ბოჭებული საგნების მითვისება ადამიანს აღარ აკმაყოფილებს, იგი სახეს უცვლის მათ და ისე მოიხმარს. ადამიანი ბუნების საგნების გარდაქმნისა და მითვისების პროცესში სხვა ადამიანებთან გარკვეულ ურთიერთობებში შედის, მაგრამ მას ამოძრავებს, მხოლოდ ერთი გრძნობა — კერძო მესაკუთრეობის გრძნობა. იმ ადამიანში, რომელშიც ეს გრძნობა უფრო მძლავრია და რომელსაც აქვს სათანადო ფიზიკური მონაცემები ამ გრძნობის რეალიზაციისათვის ის ხდება კიდევ მეტი მატერიალური დოვლათის მესაკუთრე. კერძო საკუთრების თავდაპირველი დაგროვება ძალმომრეობას ეფუძნება. ადამიანის ისტორიული განვითარების მთელი შემდგომი პერიოდი ხასიათდება ადამიანებს შორის ბრძოლით უფრო და უფრო მეტი სიმდიდრის მოხვეჭისათვის, დაგროვილი სიმდიდრის გადანაწილებისათვის. ამ ბრძოლას საფუძვლად უდევს კერძო საკუთრების უფლების მოპოვებისკენ სწრაფვა. ეს, ცივილიზებულ ქვეყნებში, თვითმიზანი აღარ არის. იგი არის საშუალება ადამიანის თვითდამკვიდრებისათვის, სხვა ადამიანების ან სახელმწიფოს მიმართ უშუალო დამოკიდებულებისგან განთავსუფლებისათვის, თავისუფლებისთვის და აქედან გამომდინარე, ბუნებრივად თანდაყოლილ თუ შეძენილ სხვა თვისებათა რეალიზაციისათვის.

პირველყოფილი ადამიანი თავისი სიცოცხლის, სამუშაო ძალის კვლავ-წარმოებისთვის ურთიერთობაში შედის მოხმარების საგნების ერთადერთ მწარმოებელთან, ბუნებასთან. უპირისპირდება მას როგორც მოხმარებელი და ითვისებს მისგან მზამზარებულ, პირადი მოხმარების საგნებს: საკვებს, ჩასაცმელს, ბინას და სხვ. ეს საგნები მისი პირადი საკუთრება ხდება. იგი შეიძლება განხილული იქნას როგორც საკუთრებით ურთიერთობათა და მასთან დაკავშირებულ სასაქონლო ფულად ურთიერთობათა ჩასახვის საფუძველთა საფუძველი. სანამ არსებობს ადამიანი, მანამ ექნება მას პირადი მოხმარების საგნებზე მოთხოვნა და პირადი საკუთრება. ეს, აუცილებელი წინაპირობაა სასაქონლო ფულად ურთიერთობათა აღმოცენებისათვის.

მარქსისტული მოძღვრების მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლად იყო მიჩნეული წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაციისა და მათი ნაციონალური ცენტრალიზაციის გზით სასაქონლო ფულად ურთიერთობათა მოსპობა. სერიოზული ყურადღება არ მიექცა ადამიანის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი სამყაროს ანალიზს. სათანადოდ არ იქნა შეფასებული ადამიანის კერძო მესაკუთრული ბუნების და პირადი საკუთრების უდიდესი როლი კერძო საკუთრებისა და სასაქონლო ფულად ურთიერთობათა აღმოცენების საქმეში.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი სოციალიზმის დროს სასაქონლო ფულად ურთიერთობათა ელემენტების შენარჩუნების პირობათა თაობაზე.

სტალინი სოციალიზმის დროს სასაქონლო ფულადი ურთიერთობების შენარჩუნების ერთადერთ პირობად მიიჩნევდა საზოგადოებრივი წარმოების ორი სექტორის, სახელმწიფო და საკოლმეურნეო სექტორების არსებობას. მისი აზრით: „როცა ორ ძირითად საზოგადოებრივი სექტორის ნაცვლად წარმოიშობა ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი მთელი წარმოებული პროდუქციის გამგებლობის უფლებით, სასაქონლო წარმოება მისი ფულადი მეურნეობით გაქრება, როგორც სახალხო მეურნეობის უსარგებლო ელემენტი“ (ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრკ-ში, მ. 1952, გვ. 176, რუსულ ენაზე).

როგორც ჩანს, სტალინმა ვერ იპოვა სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა შენარჩუნების რეალური საფუძველი (ადამიანის კერძო მესაკუთრული ბუნება და პირადი საკუთრება). ამიტომ იძულებული გახდა ხელი „ჩაეჭიდა“ საკოლმეურნეო საკუთრებისადმი, გამოეცხადებინა იგი სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საფუძველად, სტალინი გრძნობდა, რომ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საკუთრებითი ურთიერთობა. ამასთან, მან კარგად იცოდა, რომ საკოლმეურნეო საკუთრება, არსებითად, სახელმწიფო საკუთრება იყო. მიუხედავად ამისა იგი დაყინებით ეწინააღმდეგებოდა იმ ეკონომისტებს, რომლებიც მოითხოვდნენ საკოლმეურნეო საკუთრების გაუქმებას და მის საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადებას. ამის გაკეთება მას არაფრად უღიროდა, მაგრამ ამით ხელიდან გამოეცლებოდა სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა არსებობის „დამადასტურებელი“ ერთადერთი საფუძველი.

მარქსისტულ მოძღვრებას საფუძველად დაედო აგრეთვე, ის მცდარი დებულება, რომ მმართველობითი შრომა ცხადდებოდა არამწარმოებლურ შრომად. აქედან გამომდინარე, კაპიტალისტები მიჩნეული იყვნენ პარაზიტებად,

მუშათა კლასის ექსპლუატატორებად, სხვათა შრომის ხარჯზე მცხოვრებლებად და ა. შ. სწორედ, აქ უნდა ვეძებოთ თვითმმართველობისა და არასასაქონლო წარმოების იდეებს შორის კავშირი. მარქსი წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებას არ თვლიდა ექსპლუატაციის მოსპობის ძირითად პირობად, გასაზოგადოების საბოლოო აქტად. ასეთ აქტად, მას მიაჩნდა სახელმწიფოს შეცვლა საზოგადოებრივი თვითმმართველობით. ამისთვის კი, სახელმწიფო საკუთრება უნდა გადაქცეულიყო ჭეშმარიტად საზოგადოებრივ საკუთრებად, წარმოების საშუალებებისა და მიწის ერთობლივი ფლობისა და კოოპერაციის საფუძველზე. ასეთი საკუთრების ეკონომიკური რეალიზაციის მექანიზმის შექმნა იგი არაფერს გვეუბნება, მხოლოდ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო საკუთრებიდან საზოგადოებრივზე გადასვლის კონკრეტული გზების ჩვენება პრაქტიკას შეუძლიაო.

სსრკ-ის 70 წლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა სახელმწიფო, როგორც საკუთრების დამცველი, რაც უფრო უპირისპირდება ხალხს, როგორც საკუთრების გამწვანებელს, მით უფრო ნათელი ეფინება სახელმწიფო საკუთრების არასოციალისტურ ხასიათს.

ტროცკი ახასიათებს რა 1936 წლის კონსტიტუციის შუქზე სსრკ-ში აშენებულ საზოგადოებრივ წყობას, აღნიშნავს, რომ: კონსტიტუციაში სახელმწიფო საკუთრების გაიგივება საერთო-სახალხოსთან არის ოფიციალური დოქტრინის სოფიზმი, წარმოების საშუალებები ეკუთვნის სახელმწიფოს, მაგრამ თვით სახელმწიფო „ეკუთვნის“ ბიუროკრატიას. აქედან გამომდინარე, ადანაშაულებს საბჭოთა ბიუროკრატია იმაში, რომ მან მოახდინა პროლეტარიატის პოლიტიკური ექსპროპრიაცია და თავის დაქირავებულ მონად აქცია იგი, რომ საბჭოთა ბიუროკრატია უღალატა ოქტომბრის რევოლუციას.

ტროცკი თავისდავე შეხედულებებს შორის წინააღმდეგობათა წრეში არის მოქცეული. იგი, ერთი მხრივ, ილაშქრებს საბჭოთა ბიუროკრატიაზე დიქტატურის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, უშეგებს, რომ ყერძო საკუთრების საზოგადოებრივად გადაქცევისათვის აუცილებელია სახელმწიფო საკუთრების სტაბილიზაცია, რომ სახელმწიფო საკუთრება იმდენად ხდება საერთო-სახალხო, რამდენადაც ქრება სოციალური პრივილეგიები, ქონებრივი განსხვავებები და ამასთან ერთად სახელმწიფოს საქირობაც. (ე. ი. ტროცკი მომავალი თვითმმართველობითი საზოგადოების კონტურების თაობაზე მარქსის პოზიციებზე დგას).

ტროცკი წინააღმდეგობა ბიუროკრატის დიქტატურის, მაგრამ იქვე უშეგებს სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიას. იგი ვერ ამჩნევს, რომ ბიუროკრატის დიქტატურა წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრების გაბატონების კანონზომიერი შედეგია, რომ მისი დამხობა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების დიდი წილის დენაციონალიზაციით, პრივატიზაციით და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. ტროცკი არ გამოირიცხავს საბაზრო ეკონომიკისკენ დაქანების შესაძლებლობას და გაფრთხილებას იძლევა: თუ კი არ მოხდება ბიუროკრატის დიქტატურის შეცვლა ახალი სოციალისტური ხელისუფლებით, მაშინ ადგილი ექნება კაპიტალისტური ურთიერთობებისკენ დაბრუნებას.

საერთოდ, ტროცკი სსრკ-ში აშენებულ წყობილებას არ თვლის სოციალიზმად. საბჭოთა რეჟიმი მას მიაჩნია კაპიტალიზმისა და სოციალიზმს შორის არსებულ შუალედურ წინააღმდეგობრივ საზოგადოებად, საიდანაც შესაძლე-

ბელია გადასვლა, როგორც კაპიტალიზმისკენ, ისე სოციალიზმისკენ. ასეთი გადასვლები მას წარმოდგენილი აქვს შემდეგნაირად:

1. კაპიტალიზმის გზაზე კონტრრევოლუციამ უნდა გატეხოს მუშათა წინააღმდეგობა; 2. სოციალიზმის გზაზე — მუშებმა უნდა ჩამოაგდონ ბიუროკრატია.

ამჟამად, სსრკ-ის მასშტაბით, შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის, ტოტალიტარული სახელმწიფოს ექსპლუატატორული სისტემის მსხვერვის, ორი ძირითადი ვარიანტია გამოკვეთილი. (ეს ვარიანტები თავისი არსით ძალიან წააგავს საბჭოთა რეჟიმის მსხვერვის ტროცკიკულ ვარიანტებს).

1. მეურნეობის კერძო-მეწარმეობითი ორგანიზაცია;
2. მეურნეობის თვითმმართველობითი ორგანიზაცია.

I ვარიანტი გულისხმობს ერთიანი ცენტრალიზებული გეგმით მომუშავე ეკონომიკიდან კაპიტალისტურ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. არსებული ბიუროკრატული აპარატი შეიძლება ჩაყენებული იქნას ახალი ხელისუფლების სამსახურში. ახალი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა არა რეფორმები, არამედ სოციალური გადატრიალება, რითაც იქმნება სრულიად ახალ ფასეულობებზე ორიენტირებული საზოგადოება.

II ვარიანტი გულისხმობს ხელისუფლების გადაცემას ბიუროკრატის დიქტატურიდან მშრომელი ხალხის ხელში. საკუთრების ხასიათი არსებითად არ იცვლება, იგი იცვება რეალური შინაარსით. ყალიბდება შრომითი კოლექტივების თვითმმართველობითი მეურნეობრიობის სისტემა, რომელიც გეგმიანია და ფუნქციონირებს „სახალხო სახელმწიფოს“ ერთიანი ხელმძღვანელობით. ეს არის სოციალისტური, რეგულირებადი, საბაზრო ეკონომიკა. „სახალხო სახელმწიფო“ ატარებს მნიშვნელოვან რეფორმებს, მაგრამ არა სოციალურ გადატრიალებას. საზოგადოებრივი წყობა თავისი არსით ბოლშევიკური რჩება. ახალი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა: დემოკრატიული პროფკავშირების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებათა გაფართოება. ისინი თავისუფლებიან პოლიტიკური პარტიების მხრივ მბრძანებლობისგან.

ორივე ვარიანტს ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი.

II ვარიანტის აქტიურ მომხრეებად გვევლინებიან ე. წ. „ახალი“ სოციალისტები, ისინი თვლიან, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოს ექსპლუატატორული სისტემის მსხვერვისათვის აუცილებელია: ქვეყნის ეკონომიკის გადაქცევა თვითმმართველ საწარმოთა ქსელად, სადაც შრომითი კოლექტივები გვევლინებიან წარმოების საშუალებათა სრულუფლებიან მესაკუთრეებად.

ისინი ეყრდნობიან მარქსისტულ დოგმებს: საზოგადოებრივი საკუთრების პრიმატის შესახებ კერძოსთან მიმართებით; საზოგადოების პრიმატის შესახებ ინდივიდთან მიმართებით. ამ დოგმებს ისინი იყენებენ არა მთელი სახალხო მეურნეობის დონეზე, როგორც ეს ადრე მოხდა, არამედ ცალკეული შრომითი კოლექტივების დონეზე. ამით ისინი ცდილობენ ქვეყანაში მინიბოლშევიზმის შენარჩუნებას, საიდანაც ტოტალიტარიზმამდე ერთი ნაბიჯია.

პრაქტიკულად, ამ ორი ვარიანტის ერთდროული განხორციელების მცდელობა უკვე შეიმჩნევა. ამის მაგალითია ის, რომ ერთი მხრივ, მეურნეობის კერძო მეწარმეობითი ფორმები და მეორე მხრივ, თვითმმართველობითი ფორმები, თანდათან რეალობა ხდება. მოვლენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე

როდესაც პოლიტიკური საკითხი გადაიჭრება. ამ ორი ვარიანტის ძირითადი პრინციპების შემდგომი პარალელური ფუნქციონირება, ეკონომიკური თვალსაზრისით, არაეფექტიანი გახდება. აუცილებლად, დღის წესრიგში დადგება საკითხი: ერთ-ერთი მათგანისადმი პრიორიტეტის მინიჭების შესახებ.

А. А. БЕРИДЗЕ

РЫНОЧНАЯ ЭКОНОМИКА И НЕСОСТОЯТЕЛЬНОСТЬ ЕЕ ОТРИЦАНИЯ СО СТОРОНЫ КЛАССИКОВ МАРКСИЗМА

Резюме

В статье показано значение взаимодействий и взаимообусловленности органически составных частей (рынок капитала, рынок рабочей силы, рынок товаров) рыночной экономики в деле саморегуляции экономики. Признаны несостоятельными взгляды советских экономистов школы Абалкина и школы реалистов (В. Якушева) по поводу насыщения рынка потребительских товаров без создания полноценных рынков капитала и рабочей силы.

Характеризуется то положение, которое сложилось в СССР при попытке практической реализации марксистских идеалов. Высказывается мысль по поводу несостоятельности (ложности) некоторых исходных положений марксистского учения.

Дана характеристика Троцкого советского режима в свете Конституции 1936-го года. Изложены его противоречивые взгляды по поводу советской бюрократии.

Приводятся два варианта преодоления экономического кризиса и крушения эксплуататорской системы тоталитарного государства;

1. организация частно-предпринимательского хозяйства;
2. организация самоуправленческого хозяйства.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილებამ.

ვლადიმერ ყანდაშვილი

მიწის საკუთრებისა და მისი განაწილების საკითხისათვის

გარდამავალი პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა დიდ სიძნელეებს განიცდის. ეს სიძნელეები განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში იგრძნობა. მათი დაძლევა ხანგრძლივ პერიოდსა და დიდ ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. სიძნელეების სათავე უნდა ვეძიოთ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მმართველობის საფუძვლებში და იმ პოლიტიკაში, რასაც ცენტრი ახორციელებდა ცალკეულ რესპუბლიკაში მათი ეკონომიკური დაკაბალების მიზნით.

მონოკულტურების სპეციალიზაციის კოლონიურმა პოლიტიკამ საქართველოს სოფლის მეურნეობა მთლიანად დამოკიდებული გახადა საკავშირო მასშტაბით ორგანიზებულ ბაზარზე, რომლის დაკმაყოფილება პატარა რესპუბლიკას არ შეეძლო სხვა დარგებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. საკავშირო ბაზრის დაკმაყოფილების მიზნით, რესპუბლიკაში იწარმოებოდა ვაცილებით მეტი ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი, ბალჩეულ-ბოსტნეული კულტურები და სხვა. რესპუბლიკებიდან შემოტანის პირობით, მკვეთრად მცირდებოდა ნათესი ფართობები. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე. ასეთი მზაკვრული პოლიტიკა შესაძლებლობას აძლევდა ცენტრს საქართველოს ეკონომიკის ძარცვის სიმყარის შენარჩუნებისათვის.

პროდუქციის ერთ ნაწილზე მოთხოვნების უქონლობა, რესპუბლიკების საწარმოების საგარეო ბაზრებზე დაუშვებლობა, სახელმწიფო შესყიდვის დაბალი ფასები პირობებს ქმნიდნენ აგრარულ სექტორში დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის. მეორე მხრივ, სხვა რესპუბლიკებში მარცვლეული კულტურების შედარებით უკეთეს პირობებში წარმოების გამო მცირე დანახარჯებით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვის დაბალი ფასების არსებობა უბიძგებდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, დაბალი რენტაბელობის მოტივით, მნიშვნელოვნად შემცირებინათ ნათესი ფართობები. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეობა მთლიანად დამოკიდებული იყო სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ კომბინირებულ საკვებზე. მემცენარეობა სხვაგან წარმოებულ სასუქებსა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო შხამქიმიკატებზე. ამ სახის სამრეწველო პროდუქციის პერიოდული შეფერხება უარყოფითად მოქმედებდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაზე.

ამრიგად, რესპუბლიკათაშორისო კავშირების არსებულმა სისტემამ, მიწაზე საერთო-სახალხო საკუთრებამ ერთნაირ პირობებში მოაქცია საქართველოს და ტიუმენის ოლქის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, შორეული აღმოსავლეთის, შედარებით ცუდ ბუნებრივ პირობებში მომუშავე, მეურნეობები. მიწაზე სა-



ერთო-სახალხო საკუთრებამ კრაზი განიცადა. ყველასი და ამავე დროს ვისმაც კუთვნილმა მიწამ თანდათანობით დაკარგა ნაყოფიერება. დაბალრენტა-ბელური და ზარალიანი ვახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, შემცირდა სახნავი მიწის რაოდენობა. თუ 1965 წელს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგული განისაზღვრებოდა 2,8 მილიონი ჰექტარით. მათ შორის სახნავი 800 ათასი ჰექტარით, 1985 წლისათვის შეადგენდა 3158,7 და სახნავი ფართობი 783,9 ათას ჰექტარს. როგორც ჩანს, მკვეთრად შემცირებულია მიწის გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ მიწას პატრონი სჭირდება, პატრონი, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მოსახლეობასა და სავალუტო ბაზარის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ასეთი პატრონი უნდა მოიძებნოს არა ადმინისტრაციული მეთოდების გატარებით, არამედ ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. ჩვენთვის მიუღებელია საკავშირო კანონი საკუთრების შესახებ და რსფსრ-ს ამასწინათ მიღებული კანონი მიწის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა რიგი თავისებურებებით, რაც ალბათ განაპირობებს მიწაზე საკუთრების თავისებურებებს.

მიწაზე ამა თუ იმ საკუთრების დამკვიდრებისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სოფლის მეურნეობის ისეთი თავისებურება, როგორცაა: წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნება; მრავალწლიანი ნარგავების სიჭარბე; ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მიწის მკვეთრად განსხვავებული რაოდენობა სხვადასხვა რაიონში; მიწის საერთო სიმცირე; მიწის არათანაბარი ნაყოფიერება ნიადაგისა და კლიმატური პირობების განსხვავებულობიდან გამომდინარე; ერთი სახის პროდუქციის სიჭარბე, მეორესი — მეტისმეტი ნაკლებობა; ცალკეულ რაიონში ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოების იძულებითი ხასიათი, რესპუბლიკის მრეწველობის დაკმაყოფილების მიზნით; მთიან რაიონებში მოსახლეობის შენარჩუნებისათვის გარკვეული შეღავათების გავრცელების აუცილებლობა; მიწის სიმცირის გამო ყველა მიწის (მათ შორის უცუდესის) ნაკვეთის ეფექტური გამოყენების აუცილებლობა; ცალკეულ რაიონში შრომის რესურსების სიჭარბე, სხვაგან მისი ნაკლებობა და მუშახელის გადაადგილების სიძნელეები; მოსახლეობისათვის საჭირო მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და საექსპორტო პროდუქციის ხარისხის ამაღლების აუცილებლობა; სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სხვა რაიონში ჩასახლების აუცილებლობა; მოსახლეობის არამყარი ნაწილის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი და ა. შ.

ახლა როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მიწების მოვლა-პატრონობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. რესპუბლიკას ეძლევა აგრარული მიმართულება და აქედან გამომდინარე მიწა უნდა გახდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გადიდების ძირითადი წყარო. ახალი მესაკუთრის გამოძებნა, სოფლის მეურნეობისადმი ახლებური მიდგომა, ხელოსაყრელი ბუნებრივი პირობების გამოყენების მიზნით ახლებური სპეციალიზაციის მოწყობა, ყველა სახის მეურნეობის, ყველა სახის ნაკვეთის დამუშავების მიზნით საჭირო ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით უწყვეტი მომარაგება, მოსავლის აღებისა და შენახვის დროს დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება, ქვეყანაში შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, იმ მიზნით, რომ

გამოირიცხოს უშრომელი შემოსავალი — აი არასრული ნუსხა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა გათვალისწინებულ იქნას სოფლის მეურნეობის მართვის საქმეში ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმის დროს.

და მაინც რა მოვუხერხოთ მიწის საკუთრებას? ეს კითხვა დგას მთელი საზოგადოების წინაშე, ამ საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებისა, რომელსაც უზენაესი საბჭო ღებულობს. ცხადია, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა უნდა განვითარდეს არასოციალისტური გზით. ეს თავისთავად გულისხმობს სოციალიზმის საფუძვლის — წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე საერთო-სახალხო საკუთრების პრივატიზაციას. ყურნალ „ეკონომიკაში“ და „კვალში“ უკანასკნელ პერიოდში მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა, ერთმანეთის შეშვები და ერთმანეთის აზრის გამომრიცხავიც, არიან უკიდურესი ლიბერალებიც და უკიდურესი ბიუროკრატებიც. ყველა მათგანი მოითხოვს საერთო-სახალხო საკუთრების მოსპობას და საკუთრების სხვა ფორმის დამყარებას.


398
 61

ჩვენ ვეშრობით იმ ეკონომისტთა შეხედულებას, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკის მშრომელებს უფრო ეფექტურად გამოიყენონ მიწა, მინიმუმამდე შეამცირონ პროდუქტების დანაკარგები, მიღწეულა იქნას საერთო აღმავლობა. ეს საერთოდ, პერსპექტივაში. სტრატეგიული კურსი უმრავლესობას სწორად აქვს განჭვრეტილი. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ დღესვე უნდა დაიწყოს მიწის განკერძოება, უნდა დაიშალოს კოლმეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები, მიწა უნდა გადაეცეს მწარმოებელს კერძო საკუთრებაში. ჩვენი აზრით, მეურნეობაში ასეთი მკვეთრი შემობრუნება დიდ ზიანს მიაყენებს სოფელს და გააუარესებს მომარაგებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ამჟამად მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მიწის მთელი ფართობის კერძო საკუთრებაში გადაცემა (რასაც გვირჩევენ ზოგიერთი ქართველი ეკონომისტი) შეუძლებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

ეკონომიკური ბერკეტების ფართო ქსელის გარეშე დაირღვევა თანასწორობის პრინციპი კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემის პირობებში, რაც ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს საერთოდ სახელმწიფო ქონებისა და კერძოდ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების განაწილებას. ასეთი ეკონომიკური ბერკეტები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. საჭიროება მოითხოვს დაიხვეწოს საგადასახადო სისტემა, მიწის კადასტრის შესაბამისად მიწის ფასის გაანგარიშების მეთოდოლოგია, სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის ურთიერთობის სხვა ბერკეტები.

უნდა დაიხვეწოს რესპუბლიკის მასშტაბით, ადგილობრივი და საგარეო მოთხოვნილების შესაბამისად კულტურათა განლაგების, სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის პროგრამა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების გადიდებას და ხარისხის ამაღლებას იმ პროდუქტებისას, რომელზედაც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა. ეს მოთხოვნილება უფრო გაიზრდება რესპუბლიკის გარედან მათი შემოტანის შეწყვეტის პირობებში. ეს პროცესი ალბათ მოითხოვს გარკვეულ დროსა და შესაბამის თანხებს.

დამკვიდრებული ტრადიციებისა და ტერიტორიული პრინციპით მიწის მფლობელობის შენარჩუნების პირობებში, ცალკეული რაიონის მოსახლეობა აღმოჩნდება უკეთეს პირობებში, ვიდრე სხვა რაიონის. წარმოიშობა ბუნებრივი და ეკონომიკური უთანაბრობის პირობები დახარჯული სამუშაო ძალის



კვლევარმოებისათვის. ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის განაწილების მეთოდოლოგია იმ ანგარიშით, რომ რესპუბლიკაში დაცული იქნას საერთო-სახალხო საკუთრების განაწილების პრინციპი.

უმეტეს ხვლის შეწყობას მოითხოვს იმ პროდუქტების წარმოება, რომელზედაც მაღალი მოთხოვნილებაა და რომელიც შეიძლება იქცეს სავალუტო შემოსავლის წყაროდ. მაგალითად, მარცვლეული კულტურების წარმოება ბევრ რაიონში ზარალიანი და დაბალრენტაბელურია სახელმწიფო შესყიდვის დაბალი ფასების გამო. 1991 წლის მარტისათვის საერთაშორისო ბაზარზე 1 ტონა ხორბლის ფასი უდრიდა 109,7 დოლარს. ჩვენი ფულის ერთეულთან დოლარის ფაქტური შეფარდების პირობებში ერთი ათად შეიძლება განისაზღვროს ხორბლის ფასები. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ პროდუქტების შესყიდვის (ყოველ შემთხვევაში პირველ წლებში იგი დარჩება კერძო საკუთრებაზე გადასვლის პირობებშიც) ფასების დაწესებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას საგარეო ბაზრის ფასები და ამ პროდუქტებზე შინაგანი მოთხოვნილება.

მიწის უსასყიდლოდ გადაცემა დააზარალებს იმ რაიონის მოსახლეობას, რომელთა განკარგულებაშია დაბალნაყოფიერი მიწები. მაღალი ფასის დაწესების პირობებში კი მიწის მესაკუთრე ვახდება მდიდარი, რომელმაც უშრომელი შემოსავლის გზით დააგროვა დიდძალი ქონება. საჭიროდ მიგვაჩნია უახლოეს პერიოდში მიღებულ იქნეს მიწის დეკრეტი და მიწის კოდექსი. დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე იმ ოჯახების ნომენკლატურის დადგენა, რომლებსაც არ აქვთ მიწის გამოსყიდვის საშუალება და იმათი, ვისაც დამსახურებისამებრ უფასოდ შეიძლება გადაეცეთ მიწა.

არ უნდა გაგვიტაცოს კერძო საკუთრების უპირატესობის ილუზიებმა. არა მგონია, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით უკსეთესად წარმართოს საქმე იმ კოლმეურნეობებში და სახელმწიფო მეურნეობებში, რომლებიც ამჟამად გამოირჩევიან მაღალი რენტაბელობით. ფაქტი ერთია, არ შეიძლება ხელუხლებელი დავტოვოთ საკუთრების არსებული ფორმები. აქსიომაა საერთო-სახალხო საკუთრების უზარგისობა. მაგრამ იქნებ გამოეყენონ ამ კოლმეურნეობებში საკუთრების ისეთი ვარიანტი, რომელიც გამორიცხავს როგორც კერძო საკუთრების, ისე საერთო-სახალხო საკუთრების უარყოფით მხარეებს. ამ ფორმების შემუშავებას და საერთო-სახალხო განხილვას გარკვეული დრო სჭირდება.

ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით, არ არის შექმნილი სათანადო პირობები წვრილი დაქსაქსული მიწის ნაკვეთების დასამუშავებლად. მიწაზე საკუთრების შეცვლამ არ უნდა დააზიანოს წარმოების არცერთი ფორმა. ყველა მათგანს უნდა შეექმნას მუშაობისა და არსებობის ნორმალური პირობები. საჭიროა მოეწყოს მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა. ტრაქტორებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ჯგუფური და კოლექტიური საკუთრების გარდა უნდა მოეწყოს სპეციალიზირებული კოოპერატივები, რომლებიც გაუწევენ ტექნიკურ მომსახურებას იმ ინდივიდუალურ მეურნეობას, ვისაც ტექნიკა არ გააჩნია. გარდა ამისა, უნდა მოეწყოს შესყიდვის, რეალიზაციის და სამრეწველო პროდუქტების მომმარაგებელი სამსახურები და სხვა.

მიწაზე საკუთრების შეცვლა გარკვეულ წილად მოითხოვს მუშა ხელის რეგულირებას, სათანადო ბირჟების მეშვეობით. კერძო საკუთრება ალბათ

წარმოშობს დაქირავებული შრომის იურიდიულ საფუძვლებს, თუმცა ამ აპ-ბლუაში ყოფილი მუშა და კოლმეურნე ფაქტიურად იმყოფებოდა. მართალია მუშა ხელის მიწოდება-მოთხოვნილების პროპორციები განსაზღვრავენ სამუშაო ძალის ანაზღაურების მაჩვენებლებს, მაგრამ პირველ ეტაპზე მაინც საჭირო იქნება დაქირავებული მუშის დამცველი მექანიზმის შემუშავება. ანაზღაურების ყველაზე ზუსტი საზომი შრომის რაოდენობა და ხარისხია. შრომის რაოდენობა განსაზღვრავს წარმოებული საბოლოო პროდუქტის ან შესრულებული სამუშაოს მოცულობა. თუ ადამ სმიტის მოსაზრებებს გავითვალისწინებთ, შრომის ხარისხში უნდა ვიგულისხმოთ: სასიამოვნო თუ არასასიამოვნო დასაქმება; სწავლების სიმძიმე და სიძვირე; დასაქმების მუდმივობა და არამუდმივობა; დიდი თუ პატარა ნდობა, რომელსაც უცხადებენ პირებს, რომლებიც მუშაობენ დაქირავებით; ალბათობა საქმის წარმატებაში.

მიწას არ ჰყავდა პატრონი, მაგრამ არც ახლა უნდა დარჩეს პატრონის გარეშე. მიწის ერთი ნაწილი შეიძლება დარჩეს ადგილობრივი მმართველი ორგანოების განკარგულებაში. მასვე უნდა დაეკისროს მიწის განაწილების, ნოვლა-პატრონობის, გარემოს დაცვის შესაბამისი პასუხისმგებლობა.

მიწის საკუთრება ყოველთვის არ გულისხმობს მისი განსხვავების უფლებას. მწაზე საკუთრება უნდა ამოიწუროს განკარგვისა და დამუშავების უფლებით. რაც შეეხება გასხვავებას, ჩვენ იგი თავისებურადა გვაქვს წარმოდგენილი. გარდამავალ პერიოდში არ უნდა იქნეს დაშვებული მიწის ყიდვა-გაყიდვა გარკვეული შემადგენელი ფაქტორების გარეშე. ასეთ ფაქტორებად მიგვაჩნია: მუდმივად მაცხოვრებლობა ერთ ადგილზე არანაკლები ხუთი წლისა; მიწა უნდა მიეყიდოს მას, ვინც აუცილებლად დაამუშავებს (იგულისხმება სახნავი ფართობი); მიწის გაყიდვას თან უნდა დაერთოს მყიდველის პასუხისმგებლობა პროდუქციის ერთი ნაწილის სახელმწიფოზე მიყიდვის შესახებ; მიწა არ შეიძლება იქცეს სპეკულაციის წყაროდ; დაცულ უნდა იქნას სახნავისა და სხვა სავარგული ფართობის კვოტი და ა. შ.

მიწის განაწილება მრავალეროვანი მოსახლეობის პირობებში ალბათ გამოიწვევს ეროვნებათაშორის კონფლიქტის გაძლიერებას. გამოსავალი ერთია, ჭარჭურობით, პირველ პერიოდში მაინც არ უნდა დაირღვეს ადმინისტრაციული რაიონების, ცალკეული ქალაქის, დაბისა და სოფლის ტერიტორიული მთლიანობა. ხოლო იქ მოსახლე პირებს, ეროვნული განსხვავებულობის მიუხედავად (თუ არაქართველი მოსახლეობა მტრულად არ იქნება განწყობილი ქართველი მოსახლეობისადმი) ერთნაირი პირობები უნდა შეექმნათ იმ პირობით თუ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია მოხდება მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში. გამონაკლისი აქაც დაიშვება მხოლოდ რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით.

კიდევ ერთი გარემოება. როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკაში ცალკეულ ეროვნებათა უმცირესობა უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე ქართველი მოსახლეობა. მრავალწლიანი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ უკვე 2000 წლისათვის საქართველოში შემცირდება ქართველი მოსახლეობის წილი. ქართველი კაცი მოკლებულია სხვა რესპუბლიკების მხარდაჭერას. მას სხვაგან არ აქვს საშობლო, მაშინ, როდესაც საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებას თავისი საშობლო აქვს. ქართველს სხვაგან რაიმე გამოსაყენებელი მიწის ფართობი არ გააჩნია, თუმცა წარმეული ტერიტორია ბევრი გვაქვს. ამდენად, მიწების განაწილებისას უნდა დაცული იქნას ამჟამად არ-

სებული ეროვნული შემადგენლობის წილობრივი მაჩვენებელი, შემდგომში მათი გადასინჯვის გარეშე. არაქართველი ეროვნების მცხოვრებლების თავის სამშობლოში წასვლის პირობებში მათზე განკუთვნილი მიწის ფართობი უნდა მოექცეს ქართველი მოსახლეობის სარეზერვო ფონდში.

მანამდე, სანამ ამუშავდება ყველა ეკონომიკური ბერკეტი (კონკურენცია სავადასახადო სისტემა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ახალი ფასები, საკრედიტო სისტემა და სხვა), მიწის დაუმუშავებლობა უნდა შეფასდეს, როგორც საზოგადოებრივი დანაკლისი და აქედან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს ეკონომიკური მექანიზმი მიწის უფრო სრულყოფილი გამოყენებისათვის.

მიწას სჭირდება დაცვა, ეკოლოგიური პირობების შენარჩუნება სასუქების გამოყენებისა და სხვა ღონისძიებების გატარების საშუალებით. მიწის კანონმდებლობით უნდა იქნას გათვალისწინებული რწყვის ზომიერება, დაზრობილი მიწების ეფექტური გამოყენება იმ ანგარიშით, რომ კვლავ არ ჩნეს დაშვებული დაჰობიანება. უნდა დამუშავდეს ის ფართობები, რომლებიც ადრე გამოსულ იქნა წყობიდან ცუდი მოვლით გამოწვეული ნაყოფიერების დაკარგვის გამო. საჭირო კონტროლი უნდა დაწესდეს პროდუქტების ხარისხზე.

უქანასკნელ პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ სოფლის მეურნეობისადმი დახმარების თაობაზე. ცხადია სოფელს სჭირდება დახმარება. სოფელს აკლია მაღალხარისხოვანი ტექნიკა, კომბინირებული საკვები, ბევრგან მოსაწყობია გზები, უწყლობის გამო იკარგება საკმაო დიდი რაოდენობით პროდუქცია, ჯერ კიდევ დიდია სტიქიური უბედურებით მიყენებული ზიანი. კაცმა რომ თქვას, არც ქალაქს უღობის. ხდია ჩატეხილი ქალაქსა და სოფელს შორის. და მაინც საჭიროა გამოიძებნოს გარკვეული თანხები სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის. დიდძალი სახელმწიფო ვალის დაფარვას განკერძოებული მეურნეობები ვერ იკისრებენ. ეს ვალი უკლებლივ უნდა ჩამოიწეროს, რასაც საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფა დასჭირდება.

მატერიალურად უნდა წახალისდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი. ფასების რეგულირებისას მხედველობაში უნდა იქნას პილებული სახელმწიფო შესყიდვის ისეთი ფასების დაწესება (კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების შენარჩუნების პირობებში), რომლებიც რენტაბელურს გახდიან მიწაზე მომუშავე ყველა მწარმოებელს. პროდუქტების სიუხვე თავისთავად გამოიწვევს ფასების შემცირებას რაც ერთგვარად გააუმჯობესებს ქალაქში მცხოვრებთა ეკონომიკურ პირობებს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შევუწყოთ ამ სიუხვის შექმნას.

გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, მიწის უკეთესად გამოყენების მიზნით, მისი პრივატიზაციის ჩატარება. როგორც ითქვა, ამ პრობლემის გადაწყვეტას მრავალი ასპექტის გათვალისწინება სჭირდება. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უზენაეს საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიასთან შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი, რომელშიც შევლენ გამოჩენილი აგარარკოს მეცნიერები და სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკები, რომლებიც დამუშავებენ და უზენაეს საბჭოს წარუდგენენ მიწის პრივატიზაციის ღრმად მოფიქრებულ პროგრამას.

მიწა დედაა ჩვენი, ადამიანის არსებობის წყაროა, მას უფრო მეტი გულსხმიერება და გაფრთხილება სჭირდება. ეს პრინციპი უნდა იქნას დაცული მიწაზე ყოველგვარი საკუთრების პირობებში.

В. С. КАНДАШВИЛИ

К ВОПРОСУ О СОБСТВЕННОСТИ ЗЕМЛИ И ЕЕ РАСПРЕДЕЛЕНИИ

Резюме

Экономика Республики Грузия в переходный период испытывает большие трудности, особенно в сельском хозяйстве. С проведением империалистической монокультурной политики Центр создал дополнительные препятствия развитию сельского хозяйства суверенной республики. Общественная собственность на землю ослабила заинтересованность производителя в конечной продукции. Встал вопрос необходимости приватизации государственной собственности.

Передача земли из государственной собственности в частную требует проведения необходимой подготовительной работы: совершенствование существующих систем распределения культур по районам и производственным предприятиям; объективная оценка земли, исходя из рентабельности культур и природной потенциальной возможности земли; создание материально-технической базы для фермерских хозяйств; совершенствование экономических рычагов, исключающих неравномерность при распределении земли.

Земля — особое средство производства, она не должна стать средством спекуляции. Куплю-продажу земли надо регулировать, не допуская дискриминации основной массы жителей республики.

В малоземельной республике, где необходимо обработать земли не только высшего и среднего, но и низкого качества, с помощью экономических рычагов надо создать условия для рентабельности всех ее участков.

მარიკა ჩანტლაძე

ინფრასტრუქტურა, მისი არსი და მნიშვნელობა, სოციალური ინფრასტრუქტურა

ტერმინი „ინფრასტრუქტურა“ წარმოდგება ორი ლათინური სიტყვისაგან: *infra* — ქვემო, *structura* — სტრუქტურა, განლაგება. პირველად იგი სამშენებლო და სამხედრო ტერმინოლოგიაში გამოიყენებოდა და საფუძველს, ფუნდამენტს ნიშნავდა. ავიაციაში ინფრა — სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება მიწისზედა მოწყობილობები — აეროპორტები, ანგარები, სახელოსნოები.

50-იანი წლებიდან ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში. ინფრასტრუქტურის ქვეშ გულისხმობენ იმ დარგებსა და მოღვაწეობის სფეროების ერთობლიობას, რომელიც ემსახურება ეკონომიკის, როგორც საწარმოო ისე არასაწარმოო სფეროს, ნორმალურ ფუნქციონირებას, მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების და საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ „ინფრასტრუქტურის“ განმარტება ჯერ კიდევ საღაოდ რჩება.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ეს ტერმინი თავის ეკონომიკურ გამოკვლევებში გამოიყენა, იყო ამერიკელი მეცნიერი პ. როზენშტეინ-როდანი. მან „ინფრასტრუქტურა“ განსაზღვრა როგორც იმ პირობათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მეწარმეობისა და ეკონომიკის ძირითადი დარგების ხელსაყრელ განვითარებას და აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. მან განასხვავა ორი სახე ინფრასტრუქტურისა: სამეურნეო (საწარმოო) და სოციალური ინფრასტრუქტურა¹.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ჯგუფის ექსპერტების რეგიონალურ გამოკვლევებში ინფრასტრუქტურა განიხილება როგორც საზოგადოებრივი თუ კოლექტიური ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ეკონომიკური ტერიტორიის განუზრელი ნაწილია, ე. ი. წარმოადგენს გარკვეულ სივრცეში შექმნილ პირობათა კომპლექსს, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკურ საქმიანობას ამ ტერიტორიაზე.

ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, ისინი გამოყოფენ ინფრასტრუქტურის სამ სახეს: საწარმოო, სოციალური და საერთო-საგანმანათლებლო. ამასთან საერთო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა იმიფრება როგორც პროფესიული მომზადების საშუალებათა კომპლექსი.

მიუხედავად იმისა, რომ „ინფრასტრუქტურა“, როგორც გაგება მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში 40 წელზე მეტია რაც გამოიყენება, ჯერ კიდევ არ არის ერთიანი კონკრეტული აზრი მისი შინაარსის შესახებ. თვით

¹ Голиков И. Ф. География инфраструктуры.

პ. როზენშტეინ-როზანიც სოციალურ ინფრასტრუქტურაში გამოყოფდა ე. წ. ინსტიტუციონალურ ინფრასტრუქტურას, რამეთუ მხედველობაში ღებულობდა მმართველობით ორგანოებს. სხვა მკვლევარების აზრით (ს. ა. დებაზოვა), მართვა არ წარმოადგენს მომსახურების სისტემას და არ შეიძლება იყოს მეურნეობრიობის დარგი.

პირველი რუსი მკვლევარები, რომლებმაც ცალკე, დამოუკიდებელ დარგად გამოყვეს ინფრასტრუქტურა, ყურადღება გაამახვილეს უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს მატერიალური წარმოების ეფექტური განვითარება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის რამდენიმენაირი გაგება. ერთ-ერთი მათგანი ინფრასტრუქტურას წარმოვიდგენს როგორც მეურნეობის იმ დარგთა კომპლექსს, რომელიც ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას: შარავნების არხების მშენებლობა, წყალსაცავები, პორტები, ხიდები, აეროდრომები, საწყობები, ენერგეტიკული მეურნეობები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალმომარაგება და კანალიზაცია, საერთო და პროფესიული განათლება, ჯანდაცვის, განათლების ხარჯები და ა. შ.

ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში დარგთა დიდი რიცხვის ჩართვა ამ სფეროს ძლიერ ღიღსა და განუსაზღვრავს ხდის, რაც როგორც ვ. კრასოვსკი შენიშნავს, ჩრდილავს მის ნამდვილ ეკონომიკურ ფუნქციას.

განვიხილოთ ინფრასტრუქტურის რამდენიმე განსაზღვრება.

მხოლოდ საწარმოო საქმიანობამდე დაკავება ინფრასტრუქტურის ამოცანები ს. ხეიმანს². იგი მატერიალური წარმოების ინფრასტრუქტურას განიხილავდა როგორც იმ დარგთა ერთობლიობას, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების უწყვეტობა და ეფექტურობა³. მას მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ყველა სახის ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სასაწყობო მეურნეობა, ასევე საზოგადოებრივი წარმოების მომსახურებასთან და მართვასთან დაკავშირებული დარგები.

ცოტა მოგვიანებით აპრობსტი ინფრასტრუქტურას განსაზღვრავს, როგორც მეურნეობის ყველა დარგის ვანვითარების, ტერიტორიის შემდგომი სამეურნეო ათვისების ბაზას⁴. ის და რიგი სხვა ავტორებისა „ინფრასტრუქტურაში“ რთავენ მატერიალური წარმოების ისეთ დარგებს, როგორიცაა: ენერგეტიკა, მშენებლობა და სხვა. იგი განიხილება როგორც ეროვნული სიმდიდრის ნაწილი, რომელსაც კონკრეტულად ვერც ერთ სფეროს ვერ მიაკუთვნებ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით.

პ. ივნატოვსკი და ს. დაზარსოვი ინფრასტრუქტურას განმარტავენ როგორც დარგებისა და სამსახურების სისტემას, რომლებიც აკმაყოფილებენ წარმოებასა და სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს⁵.

² Хейман С. А. «Научно-техническая революция и структурные изменения в экономике СССР».

³ «Экономические проблемы научно-технической революции при социализме», под ред. Л. М. Гатовского.

⁴ Проробст А. Е. «Вопросы размещения социальной промышленности».

⁵ Развитие форм обобществления сельскохозяйственного производства. М., «Экономика».

ლ. მერკუშევი თვლის, რომ „ინფრასტრუქტურა“ არის დამხმარე საქმიანობის ფორმა, რომელიც მიმართულია ძირითადი ობიექტის მომსახურებისაკენ⁶.

ე. პოპოვის განსაზღვრით, ინფრასტრუქტურა ეს არის მატერიალური წარმოების დარგთა ერთობლიობა, რომელიც თვითონ უშუალოდ არ ქმნის მატერიალურ დოვლათს და საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგსა და სფეროს უწყევს საწარმოო ხასიათის მომსახურებას⁷. შემდგომ ავტორი აკონკრეტებს თუ რა სახის მომსახურება შეიძლება გასწიოს; ესაა: პროდუქციის შენახვისა და გადატანის ოპერაციები, ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და გადაცემა.

მაგრამ ეს შეხედულებები არ შეიძლება ინფრასტრუქტურის სრულყოფილ განსაზღვრებად ჩავთვალოთ, რადგან:

1. არ შეიძლება ინფრასტრუქტურა დაიყვანოს მხოლოდ წარმოების მომსახურე დარგებამდე, რადგან იგი მოიცავს არასაწარმოო სფეროს დარგებსაც, რომლებიც შეადგენენ სოციალურ ინფრასტრუქტურას.

2. ამასთან, თვითონ გაგება საწარმოო მომსახურება გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე პროდუქციის შენახვა, გადატანა და საინფორმაციო უზრუნველყოფა. ძირითადი წარმოება უფრო ფართო საწარმოო მომსახურებას ემყარება და მისი მასშტაბები იზრდება მატერიალური წარმოების ზრდასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვასთან ერთად. ამიტომ ინფრასტრუქტურის ტრადიციულ სფეროებთან ერთად საჭიროა განვიხილოთ მეცნიერული უზრუნველყოფა, სარემონტო სამსახური და სხვა სამსახური. ამ სამსახურების განსაკუთრებული განვითარება თვალშისაცემია სოფლის მეურნეობისათვის, რადგან მისი ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანით და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების გაჩენით ისინი გარდაიქმნებიან დამოუკიდებელ ფორმირებებად, რომელთა მიზანი ძირითადი წარმოების მომსახურებაა.

არასრულია ტ. სემენკოვას განმარტება, რომ საწარმოო ინფრასტრუქტურა ეს არის საინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობებისა და ობიექტების კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებულ ფუნქციონირებას⁸. ამ განმარტების არასრულფასოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ მოიცავს ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს — მომსახურებას, შრომით კოლექტივს, რომელიც ქმნის სასარგებლო ეფექტს.

სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული ინფრასტრუქტურის გაგება შეიძლება სამ ჯგუფად დაეყოთ. ავტორთა ერთი ჯგუფი ინფრასტრუქტურას განსაზღვრავს როგორც დამხმარე დარგთა კომპლექსს, რომელიც ემსახურება ძირითად წარმოებას. სხვა ავტორები ინფრასტრუქტურას მიაკუთვნებენ საინჟინრო-ტექნიკურ მოწყობილობებსა და ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური წარმოების სფეროს ფუნქციონირებას, მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას განსაზღვრულ

⁶ «Территориальные системы производства, расселения инфраструктуры Урала». Вып. 2. Пермский гос. ун-т.

⁷ Материально-техническая база коммунизма. — Редколлегия: Л. М. Гатовский и др., т. 2, М., «Мысль».

⁸ «Мировая экономика и международные отношения».

ტერიტორიაზე. მესამე ჯგუფის ავტორთა აზრით, ინფრასტრუქტურა ეს არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური პროცესების განვითარების საერთო პირობებს⁹.

რა იგულისხმება საერთო პირობებში?

საჭიროა გავარკვიოთ რას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, როგორც ეკონომიკური კატეგორია. მისი ასეთი შესწავლა ემყარება იმ წარმობით ურთიერთობებს, რომელსაც ის გამოხატავს.

სხვა ეკონომისტები ინფრასტრუქტურას თვლიან პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიად, ე. ი. კატეგორიად, რომელიც ასახავს წარმოებით ურთიერთობებს¹⁰.

რიგი მეცნიერებისა ინფრასტრუქტურის შესწავლისას განიხილავენ წარმოებითი ურთიერთობების იმ წრეს, რომელიც შემოსაზღვრულია საკუთრებითი ურთიერთობებით. მაგრამ მართო ასეთი განსაზღვრა არ ხსნის „ინფრასტრუქტურის“ ეკონომიკურ შინაარსს, რადგანაც არ გვიჩვენებს მის როლს, ადგილსა და დანიშნულებას კვლევწარმოებით პროცესში.

არსებობს ობიექტური აუცილებლობა იმისა, რომ ინფრასტრუქტურის სფეროში შევიდეს გარკვეული ნივთობრივი ელემენტები, რომელთა სამომხმარებლო ღირებულება, მომსახურების სახით, გამოიყენება ძირითად წარმოებაში. ასეთი მიდგომით ინფრასტრუქტურას განმარტავს ვ. ჟამინი¹⁰. მისი აზრით, ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საწარმოო ძალების ინტეგრალურ ელემენტს, რომელიც მოიცავს დამხმარე და მომსახურე დარგებს, წარმოების ან მოღვაწეობის სახეობას, ასევე არაწარმოებითი სფეროს დარგებსა და ქვედარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან წარმოებით პროცესთან. გააჩნია რა ორი მხარე, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურა მჭიდროდ უკავშირდება სახალხო მეურნეობას ყველა დარგს და წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამალღების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. ასეთი განმარტება უკეთესია, ვიდრე ადრე განხილული განმარტებები. მაგრამ ის მთლიანად ვერ ასახავს ამ კატეგორიის შინაარსს.

საზოგადოებრივი წარმოების ისეთი დარგების გაჩენა, როგორიცაა: მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ახასიათებს შრომის საერთო დანაწილებას, ხოლო მათ დაყოფას დარგებად და ქვედარგებად, სადაც შრომა დაკონკრეტებულია სარგებლიანობის მიხედვით, მიეყვართ შრომის კერძო დანაწილებამდე. ინფრასტრუქტურის დარგები წარმოიშობა შრომის როგორც საერთო, ისე კერძო დანაწილებისას.

ისეთი მსხვილი დარგის წარმოშობა, როგორიცაა ტრანსპორტი, არის შრომის საერთო დანაწილების შედეგი, ხოლო საავტომობილო რკინიგზის და ა. შ. ტრანსპორტი — შრომის კერძო დანაწილების შედეგი. ინფრასტრუქტურის ახალი დარგების წარმოშობა კი უკავშირდება მატერიალური წარმოების სფეროში მოღვაწეობის ახალი სახეობების წარმოჩენას, რომლას ძირითადი მიზანი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. ინფრასტრუქტურის ასეთ სფეროთა რიცხვს მიეკუთვნება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, დამზადება, საბითუმო ვაჭრობა, სარემონტო სამსახური და სხვა.

⁹ Социальная инфраструктура: Вопросы теории и практики — Киев, «Наукова думка».

¹⁰ Ж а м и н В. «Инфраструктура при социализме».

წარმოების უფრო მაღალმა დონემ მიგვიყვანა ინფრასტრუქტურის ისეთი სფეროების წარმოჩენამდე, როგორცაა: სამეცნიერო და საინფორმაციო უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ავოკაშიური მომსახურება. მათი ძირითადი ფუნქციაა წარმოების უწყვეტი და ეფექტური ფუნქციონირების საერთო პირობების შექმნა. ეს ფუნქცია საწარმოო ინფრასტრუქტურის ძირითადი მახასიათებელია, როგორც საწარმოო ძალების ელემენტისა, ხოლო რაც შეეხება სოციალურ ინფრასტრუქტურას, მისი ეკონომიკური როლი განისაზღვრება საწარმოო ძალის კვლავწარმოების პირობების შექმნით, არასაწარმოო სფეროს დარგებისა და ქვედარგების მონაწილეობით¹¹.

შრომის პროცესის ყველა მატერიალური პირობა შეიძლება წარმოვადგინოთ სხვადასხვაგვარი ელემენტების ერთობლიობის სახით, რომელიც მიეკუთვნება როგორც მატერიალური წარმოების საწარმოო ძალებს, ასევე წარმოების ფუნქციონირებათა და განვითარებაზე სხვადასხვაგვარად მოქმედ პირობებს. ეს უპირველეს ყოვლისა არის გარემო, ბუნებრივი პირობები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ ადამიანის შრომით და სხვაგვარ საქმიანობაზე. ჩვენ მათ შრომის პროცესის გარეგან მატერიალურ პირობებს ვუწოდებთ.

ინფრასტრუქტურას კი მიეკუთვნება მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტები, რომლებიც ადამიანის მიერაა შექმნილი და ე. წ. „მეორე გარემოს“ მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ. ისინი წარმოადგენენ საერთო პირობებს, რომლებიც წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას უზრუნველყოფენ (გზების მოწყობა, კავშირგაბმულობის სხვადასხვაგვარი სახეები, შენობები, საკომუნიკაციო საშუალებები და ა. შ.).

საზოგადოების ისტორიულ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალების ამგვარი ელემენტების როლი და მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა. როცა ადამიანთა მოთხოვნილებების წრე ჯერ კიდევ ვიწრო იყო, შესაბამისად, საგნების წარმოებაც, რომლებიც ამ შეზღუდულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა იზოლირებულ მწარმოებელთა შრომას ეფუძნებოდა, საზოგადოება კი ბუნებრივ გარემო პირობებს ემორჩილებოდა და ექვემდებარებოდა. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობების გართულებასთან და ახალი საწარმოო მოთხოვნების გაჩენასთან ერთად საზოგადოება იძულებული გახდა გაეზარდა მატერიალური წარმოების საზღვრები და საშუალებები.

ამრიგად, წარმოების განვითარების გარე ბუნებრივი პირობები უფრო მეტად ივსებოდა საზოგადოების მიერ შეგნებულად ჩამოყალიბებული საერთო პირობებით, რომელთა შესაქმნელადაც სპეციალური ძალისხმევა იყო საჭირო.

ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა ობიექტის როგორც წარმოებით ასევე არაწარმოებითი ხასიათის საწარმოო ურთიერთობებს, რომელიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების, მისი სიცოცხლის უნარჩანობის, ინდივიდების ინტელექტუალური განვითარების პირობების შექმნისაკენ, ე. ი. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების და სოციალური პროგრესის საერთო პირობები.

ბოლო ათწლეულის მკვლევარი მეცნიერები საერთო პირობებს მიაკუთვნებენ მხოლოდ მატერიალურ ნივთობრივ პირობებს, მაგრამ გასათვალისწი-

¹¹ Чернявский И. Ф. «Инфраструктура сельскохозяйственного производства».

ნებელია რომ საერთო პირობებში შედის მოღვაწეობის გარკვეული სახეები და არამარტო საწარმოო ძალების მატერიალურ ნივთბრივი ელემენტები.

ამრიგად, „საერთო პირობები“ არაიდენტურია „მატერიალურ-ნივთბრივი პირობებისა“ და გაცილებით ფართოა ამ უკანასკნელზე. ამრიგად, ინფრასტრუქტურის ობიექტი მთლიანი ფუნქციონირებადი ობიექტია, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი წარმოებისა და სოციალური განვითარების საერთო პირობებს და არა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილს.

ახლა გავარკვიოთ რა ურთიერთობაში არიან შემდეგი ცნებები: „ინფრასტრუქტურა“, „არასაწარმოო სფერო“ და „მომსახურების სფერო“.

ინფრასტრუქტურის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმ ფუნქციონირებადი ობიექტის ერთობლიობას, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სოციალური მოღვაწეობის საერთო პირობებს. ამასთან ამ ობიექტების ერთობლიობა არაა უცვლელი. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მოცემული ერთობლიობა თანდათან იცვება და იცვლება. ეს პროცესი მიმდინარეობს შრომის საზოგადოებრივი დაწესებულების გაღრმავებასთან ერთად საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონეზე.

თუ საქმიანობის დამხმარე, მომსახურე სფეროს გამოვყოფთ ძირითადი წარმოებიდან, როგორც დამოუკიდებელ დარგებს, ეს არ ცვლის მათ როლს კვლავ წარმოებით პროცესში. ამასთან მათი დამოკიდებულება შეფარდებითია, რამეთუ თავიანთი განვითარებით ისინი მთლიანად ძირითადი წარმოების მასშტაბებსა და ტექნიკურ დონეს ემყარებიან. მომსახურების დონის ფორმირება კი ხდება საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების გადიდებათა და შრომის დაწესებულების გაღრმავებასთან ერთად.

იმისათვის, რომ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ინფრასტრუქტურა, მომსახურების სფერო და არასაწარმოო სფერო, მოვუბრუნდეთ თითოეული მათგანის წარმოშობას.

არაწარმოებითი სფერო საქმიანობის ის ნაწილია, რომელიც ერთი მხრივ მიმართულია პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისაკენ, რათა მან მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ წარმოებაში და მეორე მხრივ. დაკავშირებულია საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებასთან მთლიანობაში.

მომსახურების სფერო კი წარმოადგენს დარგების ერთობლიობას. ასეთი ერთიანობა გამოიხატება მომსახურებაში იმისდამოუხედავად მატერიალურია თუ არამატერიალური. თუმცა ჯერ კიდევ არ არსებობს „მომსახურების სფეროს“ სრულყოფილი განსაზღვრება. იგი მოიცავს: ა) წარმოების მომსახურების სფეროს (საწარმოო ტრანსპორტი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება, გამოყენებათი ხასიათის მეცნიერება, საფინანსო-საკრედიტო და დაწესებულებები), ბ) მოსახლეობის მომსახურების სფერო (ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, განათლება, კულტურა, ზღოვნება, ჯანდაცვა, ფიზიკური კულტურა, ტურიზმი და კურორტები, სოციალური უზრუნველყოფა, საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებები მოსახლეობის მომსახურების მიზნით), გ) საზოგადოებრივი მომსახურების სფერო (საზოგადოებრივი მმართველობითი აპარატები, კოოპერატივებს და საზოგადოებრივი დაწესებულებების მართვა, საერთო თეორიული მიმართულებების მეცნიერება და საზოგადოების სამეცნიერო მომსახურება).

ამრიგად, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სფერო ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს — მომსახურების ფუნქციებს, მაგრამ ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში არის ელემენტები, რომლებიც არ შედიან მომსახურების სფეროში. ესენია: სამშენებლო ბაზა, ხიდები, გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, სარემონტო დაწესებულებები, საიზოლაციო მოწყობილობები.

ძირითადი განსხვავება ინფრასტრუქტურასა და მომსახურების სფეროს შორის მდგომარეობს შემდეგში: მომსახურების სფეროს ეკონომიკის საგანს წარმოადგენს მომსახურე დარგების ყოველმხრივი შესწავლა, რადგან მომსახურების სფერო, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მოიცავს მომსახურების მთლიან საწარმოო ურთიერთობებს, თავის მხრივ ინფრასტრუქტურის კვლევის განხილვა ის წარმოებითი ურთიერთობები, რომლებიც წამოიჭრება საზოგადოებრივი წარმოებისა და მოსახლეობის საწარმოო-ეკონომიკური კავშირების განხორციელებისას. ამასთან, ეს კავშირები განპირობებულია მწარმოებლისა და მომხმარებლის ტერიტორიული სიახლოვით, გამონაკლისია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რომლებიც ყოველგვარ ტერიტორიულ სიძინელებს გადალახავენ.

ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საწარმოო ძალების ელემენტთა ერთობლიობას დარგების, წარმოების და საქმიანობის სახეობების სახით, რომლის ძირითადი ფუნქციაა: 1. ძირითადი წარმოების ეფექტური ფუნქციონირების საერთო პირობების შექმნა. 2. საწარმოო ძალის კვლავწარმოების უზრუნველყოფა.

მიმდინარეობს მსჯელობა ინფრასტრუქტურის შინაარსის შესახებ. ჩვენის აზრით, მასში უნდა შევიდეს: ტრანსპორტის ყველა სახე, (თუმცა შეიძლება განვიხილოთ მაგალითად ტრანსპორტის როგორც დარგის ინფრასტრუქტურა), ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის სისტემა, დამზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საბითუმო ვაჭრობა, სამეცნიერო და საინფორმაციო უზრუნველყოფა, რემონტი და ტექნიკური მომსახურება, წყალმომარაგება.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის შემადგენლობაში უნდა შევიდეს წარმოების პროცესის სოციალური მომსახურების ყველა სახე — აგროქიმიური სამსახური, მცენარეთა, დაცვა, ვეტერინარია, სარწყავ-საშრობი სისტემები და სხვა საირიგაციო სისტემები.

ემსახურებიან რა ძირითად წარმოებას, ინფრასტრუქტურის დარგები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ საბოლოო შედეგებს, რომელიც სახალხო მეურნეობის საქმიანობის მთავარი ორიენტირია, ინფრასტრუქტურის ელემენტები კი შუალედურ რგოლებს წარმოადგენენ საერთო კვლავწარმოებით პროცესში. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ინფრასტრუქტურის დარგების ჩამორჩენას — ძირითად და მომსახურე დარგებს შორის პროპორციათა ოპტიმიზაციის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ინფრასტრუქტურის დაყოფა ორ ჯგუფად: საწარმოო და სოციალური.

საწარმოო ინფრასტრუქტურას მიეკუთვნება დარგები, რომლებიც მატერიალური დოვლათის წარმოებას ემსახურებიან — სოციალურს კი დარგები, რომლებიც ქმნიან მოსახლეობის საქმიანობის ხელსაყრელ პირობებს.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკული როლი ენიჭება ინფრასტრუქტურის დარგების დაჯგუფებას მომსახურების ტერიტორიული ნიშნის მიხედ-

ვით. მაგალითად: განასხვავებენ შიდასაკვანძო და კვანძთაშორის ინფრასტრუქტურას. ასეთი დაყოფა შეესაბამება საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურის ფორმირების ე. წ. საკვანძო პრინციპს, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა მომსახურე დარგის რაციონალურ კავშირს ერთიან ორგანულ სისტემაში¹².

განასხვავებენ მაგისტრალურ, რეგიონალურ და ლოკალურ ინფრასტრუქტურას.

მაგისტრალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს იმ დარგთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ეფექტურ ფუნქციონირებას. იზრდება რეგიონალური ინფრასტრუქტურის როლი. რეგიონალური ინფრასტრუქტურის როლი გაიზარდა მსხვილი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების შექმნასთან ერთად. წარმოების განვითარების სულ უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ლოკალური ინფრასტრუქტურა, რომელიც ცალკეული საწარმოს ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საწარმოო ძალთა ისეთმა ელემენტებმა, როგორიცაა: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობისა და ელექტროენერჯის გადამცემი ხაზები, რომლებიც წარმოების საშუალებათა ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ, დაიწყეს ზოგიერთი სოციალური ფუნქციის შესრულება, რომელიც უკავშირდება საწარმოო ძალების მცირე ნაწილს — ადამიანის საქმიანობის პირობების შექმნას. არსებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მიზეზებმა შექმნეს ის პირობა, რომ დასავლეთში მნიშვნელოვნად გაზარდეს ინფრასტრუქტურის სოციალური ფუნქციები.

მე-20 საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელმაც მთელი თანამედროვე მსოფლიო მოიცვა, ახალი ძალით დააყენა ინფრასტრუქტურის ისეთი სფეროების განვითარება, როგორიცაა: ვანათლება, ჯანდაცვა და სხვა.

თუმცა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემები არ გახდა კვლევის მთავარი საგანი. 60-70-იან წლებში უფრო მეტად გავრცელდა ინფრასტრუქტურის დაყოფა საწარმოო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურად, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა საზოგადოებრივი წარმოების დაყოფას საწარმოო და არასაწარმოო სფეროებად. საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გამოყოფასთან ერთად უყურადღებოდ რჩება სხვა ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ადამიანთა ცხოვრებაზე მოქმედებენ. საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა მოქმედებს სოციალური განვითარების მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება).

კვლევის პროცესში გამოიკვეთება ადამიანთა ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც უშუალოდ მატერიალურ წარმოებას არ ეხება, მაგრამ მასზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს.

დღის წესრიგში დგება სულიერი წარმოების ინფრასტრუქტურის, სოციალური ცხოვრების ყველა ელემენტის ინფრასტრუქტურის საკითხი. თანდათანობთ ტერმინ „საწარმოო ინფრასტრუქტურას“ გვერდით სულ უფრო მყარად იკიდებს ფეხს ტერმინი „სოციალური ინფრასტრუქტურა“.

„სოციალური ინფრასტრუქტურას“ უფრო მეტად მიაკუთვნებენ შენობებს,

¹² «Вопросы экономики», 1978, № 9, с. 46.

¹³ Региональное развитие и географическая среда, с. 263.

საწარმოებს და დაწესებულებებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან რა მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის მოზიდვას რაიონში¹³. მაგრამ ასეთი განსაზღვრება არასრულყოფილია, რადგან არ კმარა მარტო მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით შემოფარგვლა. მოსახლეობის ცხოვრებაში არსებითი როლი მისი სოციალური აქტიურობის განვითარებას ენიჭება. მეორეს მხრივ, მარტო სამუშაო ძალის მოზიდვა არ არის გამართლებული, როცა ახლადათვისებულ რეგიონებს ვიხილავთ, ამასთან თვითონ გაგება „ცხოვრების ნორმალური პირობები“ საჭიროებს დაზუსტება-დაკონკრეტებას;

პრობლემა იმაშია, რომ კერძო მეწარმეობის საფუძველზე და თვითმმართველობის საფუძველზე აგებული ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად. კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში, საქონელმწარმოებლები ორიენტირებულნი არიან მოგების გაზრდაზე და კაპიტალიზაციაზე; სოციალისტურ რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში თვითმმართველობითი შრომითი კოლექტივები ორიენტირებული არიან მაქსიმალურ მოხმარებაზე. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში არის ჭარბწარმოების კრიზისების საშიშროება, ხოლო სოციალისტურ რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაში — ნაკლებწარმოების კრიზისის საშიშროება. ამის შესახებ, მეტყველებს ჩინეთის და იუგოსლავიის მრავალწლიანი გამოცდილება. იქ შრომითმა კოლექტივებმა მიიღეს რა საკუთარი მოგების გამოყენების უფლება მნიშვნელოვნად გაზარდეს მოხმარების ფონდი, რითაც შექმნეს ინფლაციური პროცესის განვითარების პირობები. აუცილებელი გახდა, სახელმწიფოს მხრივ, მოხმარებასა და დაკრთვებას შორის თანაფარდობის და სხვა სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის პროპორციების ცენტრალიზებული რეგულირება, სხვადასხვა სახის ნორმატივების დაწესებით, კერძოდ: წარმოების განვითარების ფონდის, ფინანსური რეზერვების ფონდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დავალების და სხვ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ჩვენს მიერ განხილული ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი მათგანის საბოლოო გამარჯვება, პრიორიტეტის მინიჭება, ახლო მომავლისთვის არ არის სავარაუდო. ვიდრე საქართველოს ტოტალიტარული სახელმწიფოს ექსპლუატატორული სისტემის „მარწუხებისგან“ სრულიად არ გათავისუფლდება, მიზანშეწონილია ორივე ვარიანტის ძირითადი პრინციპების პარალელური გამოყენება.

ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური ინფრასტრუქტურის ქვეშ გულისხმობენ მომსახურების სფეროს ობიექტების ერთობლიობას¹⁴. ზოგი მკვლევარი სოციალურ ინფრასტრუქტურას სოციალურ-საყოფაცხოვრებოს უწოდებს. ასეთი განმარტება კი გამოხატავს საზოგადოების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებს.

ამრიგად, წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. წარმოების პროცესში, საწარმოო ძალების ისეთი ელემენტისათვის, როგორცაა ადამიანი, საჭიროა ინფრასტრუქტურის გარკვეული ობიექტების შექმნა. რომლებიც ადამიანის სოციალური განვითარების უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიან.

¹⁴ Всесоюзная научная конференция «Социально-экономические проблемы непродовственной сферы и услуг в свете решений XXV съезда КПСС», Секция II, с. 38.

М. Г. ЧАНТЛАДЗЕ

ИНФРАСТРУКТУРА, ЕЕ РОЛЬ И ЗНАЧЕНИЕ,
СОЦИАЛЬНАЯ ИНФРАСТРУКТУРА

Резюме

Инфраструктура представляет собой совокупность элементов производительных сил в виде отраслей производств и видов деятельности, придающих целостный характер как всему народному хозяйству, так и отдельным его сферам и комплексам, функциональное назначение которых состоит, во-первых, в создании общих условий, обеспечивающих эффективное функционирование основного производства, и, во-вторых, в обеспечении воспроизводства рабочей силы.

Автор статьи рассматривает социальную инфраструктуру, которая обуславливает нормальные условия жизни и деятельности человека, как главного элемента производительных сил.

Резюмируя сказанное, можно считать, что при росте производительных сил, усложнения всех сфер общественной жизни требуется более развитая система общих условий, которая обеспечивала бы возможность активного участия людей в решении экономических, политических и других задач общественного развития.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის აგრარულმა განყოფილებამ.

ოთარ შარაძე

რიონზე ნაოსნობის ისტორიიდან

ქართველთა ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილზე, ამიტომ საქართველო შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ უძველეს საზღვაო ქვეყანას წარმოადგენდა¹. ამასთან ერთად საქართველოში სანაოსნოდ გამოიყენებოდა მისი უმთავრესი მდინარეები: მტკვარი, რიონი (ფაზისი)², ჭოროხი, ალაზანი, ენგურა, ხობი, ცხენისწყალი და სხვა წყლით ნაკლებად უხვი მდინარეები.

აპოლონიდის როდონელის (III ს. ძვ. წ. აღ.) თხზულებაში არგონავტიკის თქმულების შესახებ და სხვა ანტიკურ წყაროებში (ჰიპოკრატე, ფლობიოს არიანე, სტრაბონი და სხვა). გადმოცემულია არაერთი საინტერესო ცნობა კოლხების ნაოსნობისა და მისი სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნულია აგრეთვე, თუ კოლხეთი და იბერია რა დიდ როლს ასრულებდა, როგორც უმოკლესი სავაჭრო სატრანზიტო გზა, აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის. უკვე ძვ. წ. აღ-მდე პირველი საუკუნის დამლევისათვის აკად. ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით კოლხეთში რამდენიმე განთქმული სავაჭრო ადგილი იყო, სადაც ხალხი ახლომასლო ადგილებიდან თავს იყრიდა ხოლმე. ერთ ასეთ ადგილად კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში დიოსკურია ითვლებოდა. რიონზე კიდევ „კოლხეთის სავაჭრო ნავსადგური იყო, რომელიც სწორედ იქ იდო, სადაც... ახლა ქალაქი ფოთია. ის განთქმულ სავაჭრო გზას, რომლითაც ირკანის ზღვით, მერე ალბანეთით, იბერიით, მტკვრით და რიონით შავ ზღვამდე, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში, ინდოეთიდან საქონელი მიჰქონდათ ხოლმე, სწორედ კოლხეთში ჰქონდა ბოლო, მაშინ გემები მდინარე რიონზე შორაპნამდე დადიოდნენ... კოლხებს სხვაგვარ გზებზეც უზრუნველთ: რიონს, რომ მიმოსვლა არ შეეფერებინა... მდინარეზე 120 ხიდი ყოფილა გაკეთებული“³.

თუმცა მომდევნო ხანაში საქართველოს შავი ზღვის სანაპირომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში დაკარგა თავისი მნიშვნელობა სავაჭრო გზის სამხრეთით გადანაცვლების გამო, მაგრამ ნაოსნობა საქართველოში, განსაკუთრებით მდ. რიონზე არ შეწყვეტილა და ასრულებდა, როგორც სამეურნეო ისე ქვეყნის თავდაცვის დანიშნულებას. შუა საუკუნეების მანძილზე, საქართველოს გაერთიანების შედეგად, ინტენსიურად ვითარდება სავაჭრო ურთიერთობა ბიზანტიასთან, საბერძნეთთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. გაცხოველდა საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო ურთიერთობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

¹ თ ა მ ა ზ ბ ე რ ა ძ ე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 3.

² მდ. რიონი საქართველოს მდინარეებს შორის ყველაზე მეტად წყალუხვია, იგი სათავეს იღებს კავკასიონის მაღალ მთებში, ფასისა და ელანას მყინვარებიდან, მისი სიგრძე 327 კმ-ია. ქ. ქუთაისამდე რიონი მთის მდინარეა, ხოლო მის ქვემოთ — კოლხეთის დაბლობზე გასვლისას ტიბურ ვაკის მდინარედ გადაიქცევა.

³ ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგ. 1, თბ., 1951, გვ. 30.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის დაცემის (1453 წ.) შემდეგ შავ ზღვაზე გაბატონდა ოსმალეთი და შეიზღუდა ნაოსნობა შავ ზღვაზე ოდიშისა და გურიის მთავრებს მინც სანაოსნო მიმოსვლა ჰქონდათ დამყარებული დნებრის შესართავთან მცხოვრებ კაზაკებთან⁴.

კაზაკები თავისი ხომალდებით მდ. რიონშიც შედიოდნენ; მაგალითად 1616-1917 წწ. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კაზაკთა 2-ათასიანი რაზმი მოადგა, მათ აქ გადმოუსხამთ 40 კაცი, რათა ადგილზე გაცნობოდნენ სულთანის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობის საკითხებს⁵. ისინი ფოთიდან აბაშამდე ნავებით მისულან, რათა იმერეთის მეფეს შეხვედროდნენ.

მდ. რიონზე ნაოსნობას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც. იგი აღნიშნავს მდ. რიონი „...მოდის სათავეიდან ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად... ხოლო კახნიაურას ქუეით დამდორდების, და ბაეს (ანუ აბაშამდე — ო. შ.) ქვევით ფრიად მდორე და განიერი ზღვამდე, და უფრო ცხენისწყლის ქუეით გავრცელებული, რამეთუ ვლიან ნავებითა ზღვიდან ბაყამდე...“⁶. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთის ზემოთ მდ. რიონზე ხუთ ადგილას ყოფილა დადიანის, საეპისკოპოსისა და საერთოდ ფეოდალების საბაჟოები.

მდ. რიონზე ნაოსნობის შესახებ საგულისხმო ცნობას გადმოგვცემს აგრეთვე მიტროპოლიტი მაქსიმე ქუთათელი თავის მოხსენებაში, რომელიც წარუდგინა 1769 წელს იმერეთის მეფის სოლომონ 1-ის დავალებით რუსეთის სამეფო კარს „ქუთაისის ქალაქიდან ვაჭრები დადიან ნავითა და სამ ციხეში — ბათუმს, ფოთს და სოხუმს...“, სადაც სხვადასხვა სახის საქონელი მიჰქონდათ-ო⁷.

ამავე წლებში როგორც კი გამწვავდა რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობა და შემდგომ დაიწყო კიდეც ომი, რიონზე დროებით შეწყდა ნაოსნობა, მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რიონზე ნაოსნობის აღდგენას, როგორც ერთ-ერთ დამაკავშირებელ საშუალებას კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის⁸. ეს ამავე დროს გააადვილებდა დას. საქართველოში რუსეთის ჯარის უზრუნველყოფას სურსათითა და საბრძოლო საჭურვლით და ამ მხარეში ვაჭრობის აღორძინებას. ეს იდგია კავკასიის მთავარმართებელ პ. ციციანოვს ეკუთვნოდა.

მაგრამ ფოთი, სადაც რიონი ზღვას უერთდებოდა ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო და იქ თავისი გარნიზონი ეყენათ. რუსეთის ხელისუფლებამ, მიზნის განხორციელებისათვის ყველაზე მოხერხებულ ადგილად ყულევი მიიჩნია, რომელიც ფოთიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ დაშორებით მდ. ხობის ზღვის შესართავთან მდებარეობდა. ოსმალთა ჯართან რამდენიმე მცირე შეტაკებებისა და დიპლომატიური არხების გამოყენების გზით რუსეთმა 1804 წელს

4 მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, 1902, თბ., გვ. 144.

5 ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 21, 23.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 124.

7 А. Цагарели, Грамоты и др. ист. док., II, вып. I, с. 3.

8 თამაზბერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

3. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1991, № 3

შესძლო ყულევში ნავსადგურის მოწყობა და ციხე-სიმაგრის აგება, რომელსაც რედუტ-კალე უწოდეს⁹.

1804 წლიდან დაიწყო აქ რუსეთის სამხედრო გემების მიღება და მათი გადმოტვირთვა, რომელიც შემდეგ გადაჰქონდათ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილი ურმებით და გამოყოლებით მდ. რიონამდე, ან უფრო შორს მოუწყობელ სპაჰანო გზით დანიშნულ პუნქტამდე¹⁰. ცხადია ასეთი ტრანპორტირება იწვევდა ხარჯების გადიდებას, ამიტომ სათანადო შესწავლის შემდეგ გადაწყდა მდინარეების ხობის, ცივის და რიონს შორის 12 კმ სიგრძის დამაკავშირებელი არხის გაყვანა, ეს საშუალებას მისცემდა ფოთის ავლით რედუტ-კალედან რიონთან დაკავშირებას. რუსეთ-თურქეთთან ომის დაწყებისა (1806—1812 წწ.) და სხვა მიზეზთა გამო არხის გაყვანის სამუშაო რამდენიმე წელს გარტყელდა, იგი დამთავრდა 20-იან წლებში, იქ სადაც არხი რიონს უერთდებოდა აშენდა ციხე-სიმაგრე რიონსკაია და მთელი რიგი საწყობები. ამრიგად ნავსადგურ რედუტ-კალედან ნაგები გაივლიდნენ რიონსკაიას და შემდეგ მიემართებოდნენ მარან-ორპირამდე.

ფრანგი დიპლომატი და მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელსაც 1821 წელს ამ ადგილებში მოუხდა ყოფნა, აღნიშნავს: „...სწრაფად დავეთანხმე რედუტის ციხეზე გაპიროვნებული ინჟინრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, გავყოლოდი მას პატარა ციხე სიმაგრე რიონსკაიაში, რომელიც მან ააგო ფაზისის შესართავთან ცამეტი ვერსის სავალზე... უნდა ვაღიარო, რომ თავი ვერ შევიკავე, ემოციებიდან, როცა ეს მდინარე ვიხილე, იგი ხომ ბერძნების პირველი და ყველაზე ცნობილი ექსპედიციების ამბებთან არის დაკავშირებული“¹¹. აქვე ჟ. გამბა აღნიშნავს, რომ „ფაზისზე ნაოსნობას სახელმწიფო იყენებს მარანში მისასვლელად, საიდანაც მთელს იმერეთში ნაწილდება ჭვავის ფქვილი, რომელიც გურიასა და სამეგრელოში დაბანაკებული ჯარის მოსამარაგებლად ფლოტილის ხომალდებს ქერჩიდან მოაქვთ“¹².

რიონზე ტვირთის გადატანისათვის სახელმწიფო ჰალადიდელთა ნაგებს ქირობდნენ და მნიშვნელოვან გასამრჯელოსაც აძლევდნენ, შემდეგ კი დაიწყეს მენავეთა მორიგეობით გაწვევა, მაგრამ მათი შრომის ანაზღაურება, არ იყო რეგულარული, რაც იწვევდა მენავეთა უკმაყოფილებას¹³.

მდ. რიონზე ნაოსნობა განსაკუთრებით გაცხოველდა 1822 წლიდან, როდესაც ამიერკავკასიაში დაწესდა უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე შეღავათიანი ტარიფი. სწრაფად იზრდება რედუტ-კალეს ნავსადგურში საზღვარგარეთიდან შემოსული გემთა რაოდენობა და მასთან დაკავშირებით სატრანზიტო ტვირთბრუნვა¹⁴. გადმოტვირთული საქონელი, უმთავრესად მდ. რიონის საშუალებით გადაჰქონდათ ორპირამდე და აქედან ამიერკავკასიის სხვადასხვა პუნქტებში და მის საზღვრებს გარეთაც ისე, რომ რედუტ-კალე ამ დროს წარმოადგენდა ერთ-ერთ დამაკავშირებელ ნავსადგურს შავ ზღვასა და კასპის ზღვას შორის და დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიაში სატრანზიტო ტვირთბრუნვის საქმეში.

⁹ პ ა ჯ კ ო რ ი ა, რედუტ-კალე, (ყულევი), თბ., 1968, გვ. 10.

¹⁰ ჟ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 136.

¹¹ ჟ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 100-101.

¹² იქვე, გვ. 136.

¹³ თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

¹⁴ ვ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „მდინარე რიონზე ნაოსნობის ისტორიიდან“, გაზ. „ქუთაისი“, 1971 წ., 7 ოქტომბერი.

რიონზე, გარდა ადგილობრივი ნაგებობისა ზოგჯერ ზღვიდანაც კი შემოდინდნენ მცირე წყალწყვიის ხომალდები, ცხადია ტვირთის გარდა ამ ტრანსპორტით მგზავრებიც სარგებლობდნენ¹⁵.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა მოთხოვნით გაუქმდა ამიერკავკასიის შეღავათიანი ტრანზიტო (1831 წ.) და შეიზღუდა ევროპის (უმეტესად ინგლისიდან) მრეწველური პროდუქციის შემოტანა, რიონზე ნაოსნობისათვის მას დიდი გავლენა არ მოუხდენია. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დროს სავაჭრო ურთიერთობა ვითარდება რუსეთთან შავი და აზოვის ზღვების ნავსადგურების საშუალებებით, ხოლო მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის დროს შემოტანილ საქონელზე ახალმა შეღავათიანმა ტარიფის დაწესებამ შექმნეს პირობები სატრანზიტო ვაჭრობის აღდგენა-განვითარების. 20-იან წლებთან განსხვავებით ახლა ექსპორტი სჭარბობდა იმპორტს, მაგალითად, 1852 წელს რედუტ-კალეს ნავსადგურში შემოტანილი საქონლის ღირებულება შეადგენდა — 388 ათას მანეთს, გატანილისა — 682 ათას მანეთს. ასევე შეიცვალა გემთა მიმოსვლის რაოდენობა. ამავე წელს რედუტ-კალეში მოვიდა 159 და წაიკადა 186 გემი¹⁶.

სატრანზიტო ტვირთბრუნვა უმეტესად რიონზე ნაოსნობით ხორციელდებოდა. ამის შესახებ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკი 1854 წელს თავის ანგარიშგებაში აღნიშნავდა: „მეგრელებს რიონზე აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის კაიუკები“, რომ ყირიმის ომამდე, მათ გადაჰქონდათ სამხედრო ამუნიცია და სავაჭრო საქონელი, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად გადაჰყავდათ მგზავრები¹⁷.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ სამეგრელოს მთავარს ლევან V-ს ქუთაისელი მოქალაქის, ეროვნებით ბერძნის ნიკოლოზ მეტაკის თანამონაწილეობით, ადგილობრივი ხე-ტყის მასალით და მუშახელით რედუტ-კალეში აუგია დიდი მოცულობის საზღვაო სავაჭრო ხომალდი. რომელსაც რამოდენიმე ანძა ჰქონია და შეეძლო 358,7 ტონა ტვირთის გადატანა. ხომალდს ეწოდებოდა „ზობის ღვთისშობელი“. ასრულებდა რეისებს ოდესამდე, შემდეგ კი ხმელთაშუა ზღვის პორტებს შორის. მისი კაპიტნები ყოფილან ნიკოლოზ მეტაკის ძმა ათანასე და მისი შვილი დიმიტრი.

ლევან დადიანი მეორე ხომალდის მშენებლობასაც შესდგომია, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია მისი ზემოთ ნახსენებ თანამონაწილეებთან ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო¹⁸. ამრიგად ნავსადგური რედუტ-კალე ამ დროისათვის წარმოადგენდა არა მარტო ნავსადგურს, არამედ ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ცენტრს. მას ყირიმის ომამდე, ქუთაისის ბაზრის შემდეგ სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, მეორე ადგილი ეკიბა.

ამიერკავკასიის სავაჭრო აღებ-მციემობაში უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თბილისის, გორის, ახალციხისა და ქუთაისის ვაჭრები. ისინი, ძველი ტრადიციის მიხედვით, სავაჭროდ მიდიოდნენ საქართველოს სამხედრო

15 ალ. დიუმა, კავკასია, მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა, თბ., 1964, გვ. 461.

16 პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., VI ტომი, გვ. 118.

17 იქვე, გვ. 74.

18 თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, AKAK, T. VIII, გვ. 438, № 305.



გზით, კავკაზე გავლით, როსტოვის, ნიენი-ნოვგოროდისა და მოსკოვის, ავტო-
თვე ლაიპციგის ბაზრობებზე¹⁹. 50-იან წლებში კი ადგილობრივ ვაჭართა ერთი
ნაწილი ამჯობინებს ნაცვლად კავკავის გზისა, საქონლის გადატანას სამდინარო
და საზღვაო ტრანსპორტით. ამის ინიციატორი, როგორც ცნობილი საზოგადო
მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე გადმოგვცემს, მისი მამა, დიდგაჭა-
რი იაკობ ნიკოლაძე ყოფილა, მას „როსტოვში რომ გემები ენახა და გაეგო,
რომ საქონელს ზღვით ზიდავდნენ, ეკითხა — შავ ზღვაზეც შეუძლიათ ამით
სიარულიო? ყულევშიც მიიტანენ საქონელსო, რა ფასით? და სხვ. იაკობ ნი-
კოლაძეს, დარწმუნებულს იმაში, რომ რუსეთიდან ზღვით საქონლის გამო-
გზავნა მეტად იაფი დაუჯდებოდა, მომდევნო წელს გადაუწყვეტია ამით ესარ-
გებლა. რუსეთში მთელი შესყიდული საქონელი როსტოვიდან ყულევში გე-
მით წამოუღია, ხოლო ყულევიდან ორპირამდე ნაევებით მიუტანია, აქედან კი
ქუთაისამდე ურემებით (ერთ დღეში). ამრიგად იაკობ ნიკოლაძეს რუსეთიდან
ქუთაისამდე საქონლის მიტანა შედარებით მოკლე დროში განუზოროციელებია
და მწვენილოვნად იაფიც დამჯდარა. იაკობ ნიკოლაძე შემდგომშიც განაგრძობ-
და ამ გზით ქუთაისში რუსეთიდან ნავაჭრი საქონლის შემოზიდვას. „ამის შემ-
დეგ, — გადმოგვცემს ნიკო ნიკოლაძე, — მამაჩემს ტოლი არ ჰყავდა ვაჭრო-
ბაში“-ო.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ იაკობ ნიკოლაძეს სხვა ვაჭრებმაც
მიბაძეს, მაგალითად, 1856 წელს გორელმა ვაჭარმა სტეფანოვმა რედუტ-კალუ-
ში პოლანდიური გემიდან გადმოტვირთა დიდალი საქონელი, თუმცა მას ამ
საქმეში დიდი დაბრკოლებებიც შეხვდა, რაც დაკავშირებული იყო ყირიმის
ომთან და მის შედეგებთან²⁰.

სატრანზიტო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას და ამიერკავკასიაში მყო-
ფი ჯარების პროვიანტი უზრუნველყოფას აბრკოლებდა საკომუნიკაციო გზე-
ბის მოუწყობლობა. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის დროს შემუშავდა მთელი
რიგი ღონისძიება საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო გზების გაუმჯობესე-
ბის. ეს დაიწყო იმით, რომ 1853 წელს მდ. მტკვარზე დაწესდა ორთქლის გე-
მის „თავადი ვორონცოვის“ რეგულარული მიმოსვლა სალიანსა და მინჯიჩაურს
შორის, რომელიც მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის სავაჭრო-ადმინისტრაცი-
ული ცენტრის — თბილისის დაკავშირება შიდა რუსეთის სამრეწველო ცენ-
ტრებთან²¹. გემით დასახული სხვა ღონისძიებები ვერ განხორციელდა ყირი-
მის ომის დაწყების გამო, ახლა კი მშეიღობიანობის დამყარების პირობებში
შეიქმნა მისი რეალიზაციის შესაძლებლობა.

50-იანი წლებისათვის რედუტ-კალეს ნავსადგური ვეღარ უზრუნველყოფ-
და გემთა გამტარუნარიანობას და ორთქლის გემების რეგულარულად შეს-
ვლას მდ. რიონში, რომლის ფარვატერის შესწავლისა და მოწესრიგებისათვის
9 წლის მანძილზე სახელმწიფო გამოყოფდა ყოველწლიურად 25 ათას მა-
ნეთს²².

¹⁹ პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვი-
თარება XIX-XX სს., ტომი VI, გვ. 357.

²⁰ AKAK, т. IX, с. 828, № 839.

²¹ ო თ ა რ შ ა რ ა ძ ე, მტკვარზე ნაოსნობის ისტორიიდან, ჟურნ. „მაცნე“, ეკონომიკა-
სა და სამართლის სერია, 1982, № 3, გვ. 57-64.

²² საქ. სსრ ცსია (თბილისი), ფონდი 324, ნაწ. 2, საქ. 140, ფურც. 75.

ამ მხრივ მდგომარეობა უფრო გართულდა როდესაც დაიწყო ყირიმის ომი და მასთან დაკავშირებით დას. საქართველოში შეიქმნა საომარი ვითარება. 1854 წლის მაისის დასაწყისს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ფლოტმა ყუმბარები დაუშინა რედუტ-კალეს. რუსეთის ჯარის გადაარჩენის მიზნით, გენლეიტ. ანდრონიკაშვილის განკარგულებით რედუტ-კალე, სადაც ნაგებობები უმეტეს წილად ხისა იყო, გადაწვეს, ხოლო რუსეთის ჯარი მშვიდობით გაეყვანილ იქნა ნაჯიხევის საყარაულომდე²³. ამიერიდან ყულევმა (რედუტ-კალემ) როგორც ნავსადგურმა, ციხე-სიმაგრემ და სავაჭრო ცენტრმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

შექმნილი ვითარების ანალიზის საფუძველზე ინჟ.-პოდპოლკოვნიკმა იოგელმა 1855 წელს ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგინა მოხსენებითა ბარათი, სადაც მრავალმხრივ დასაბუთა ფოთსა და ორპირს შორის ორთქლის გემების რეგულიარული რეისების დაწყების აუცილებლობა, რომ იგი უზინარესად ხელს შეუწყობდა დასავლეთ საქართველოს (გურია, სამეგრელო, იმერეთი) ეკონომიკურ დაწინაურებას და მასთან ერთად მნიშვნელოვანი მოგების მიღებას. მოხსენებაში სხვათა შორის მითითებულია იმის შესახებაც, რომ „ყველაზე საქმიანი კომერციული ხალხი — ამერიკელები მიმოსვლის მოწყობას ყოველთვის იწყებენ ნაოსნობის მოწყობით“²⁴. უნდა ვიფიქროთ, რომ ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ იოგელის მოხსენებითი ბარათი დაედო საფუძვლად კავკასიის ახალ მეფისნაცვალ ბარიატინსკის 1857 წელს რომ გამოყო კომისია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის პოლკოვნიკ ივანოვის თავმჯდომარეობით; კომისიას უნდა შეესწავლა და წარმოედგინა დასკვნა თუ რამდენად იქნება მიზანშეწონილი რედუტ-კალეს ნაცვლად ნავსადგური გადატანილი ყოფილიყო ფოთში და აქედან მდ. რიონის აუღლებით რეგულიარული (სარეისო) გემების მიმოსვლის დაწყება. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელი იყო, როგორც ფოთის ნავსადგურის კეთილმოწყობა, ისე მდ. რიონში 2¹/₂ ფუტიდან 5 ფუტამდე ჩაწოლის გემების მოძრაობა წლის ყოველი დროის მანძილზე, თუ მდინარის ფარვანტერის გაწმენდის სამუშაოები გაგრძელდებოდა და მოეწყობოდა მდინარის სანეროზე ზოგეერთი ნავმისადგომი, ფოსტისა და ტვირთის გადასატანად.

1857 წელს 25 ივლისს რუსეთის მეფის მიერ მოწონებული და დამტკიცებული იქნა პროექტი, რომლის მიხედვით საჭირო იყო შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. მოეწყოს მდ. რიონზე სანაოსნო უპირატესად რუსეთის შავი ზღვის კომპანიის მეშვეობით (ფარვანტერის გაწმენდისათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენა).
2. რედუტ-კალესა და სამეგრელოს სხვა ადგილებში მცხოვრებთა შეტყობინება ფოთში მათთვის გამოყოფილ ადგილებში ჩასახლების შესახებ.
3. გამოიძებნოს სახსრები გამოყოფილი ადგილებიდან ტყის გაჩეხვისათვის. ახლადშექმნილ ქალაქში პოლიციური წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

ქალაქში წინასწარ გამოიყოს ადგილები ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის, ამავე დროს გამოინახოს შესაძლებლობა

²³ АКАК, т. XI, с. 968, № 875.

²⁴ АКАК, т. XI, с. 815—817, № 819.

აზოვის ბარკასებისა და სხვა სახის გეგმების მშენებლობისათვის. ზარბაზნებისა და პროვიანტის გადმოტვირთვისათვის ნავმისადგომებისა და საწყობების მოწყობა.

ვაჭრებისა და სხვა მრეწველთათვის ხელის შეწყობა დუქნების გასახსნელად. პირველი დღეებიდანვე უნდა შეიქმნას სამედიცინო დაწესებულება.

სანაოსნოს შექმნამდე შეძლებისდაგვარად ადგილობრივი ნავებით მოეწყოს რეგულარული მიმოსვლა ფოთი-მარანს შორის. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გამოყოფილ იქნა 140 ათასი მანეთი²⁵.

ამ პროექტის ის ნაწილი, რომელიც რიონზე რეგულარული ნაოსნობის დაწყებას და ფოთში მოსახლეობის დასახლებას ეხებოდა, განხორციელდა იმით, რომ შეიქმნა „შავისა და აზოვის ზღვების სხვადასხვა ადგილების და კავკასიის შორის სავაჭრო ურთიერთობის გასაწვრივებლად მენავებობისა და ვაჭრობის რუსეთის საზოგადოების (როპიტის) მონაწილეობით რიონის „საბუქსირო ნაოსნობა“²⁶. კატარღებს გამოაბამდნენ ადგილობრივ ნავებს და ორმხრივ მიმართულებით გადაჰქონდათ ტვირთი და გადაყავდათ მგზავრები. ამის შესახებ ცნობილი ფრანგი მწერალი ალ. დიუმა, რომელმაც 1858-1859 წწ. კავკასიაში იმოგზაურა და მოუხდა ორპირიდან ფოთამდე მგზავრობა, წერს ორპირში საჭურისები („სკოპცები“) ... ატარებენ ნავებს რიონზე ზაპორის განმავლობაში“, როცა წყალი შრება და პატარა გემი ვერ მოძრაობს“, შემდეგი განაგრძობს „კარაპში სამი კაცი იყო. ერთი საჭეს მართავდა, ორნი ნიჩბავდნენ...“ ყოველ ნაბიჯზე მდინარის ღინებას აფერხებდა ფსევანად ამოძვრკეული ხეები, კარაპი კი ვიწრო და ბრტყელი აუბულებლისააო.

გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“, რომელსაც ა. დიუმა ტრაპეზუნდამდე უნდა წაეყვანა ფოთის რეიდზე მდგარა, მასთან მიუყვანია პატარა კატარღას... რომელიც ზაფხულობით რიონის ადიდებისას, მარანსა და ფოთს შუა მიდი-მოდის“-ო²⁷.

„საბუქსირო ნაოსნობა“ ვერ აკმაყოფილებდა ამ დროს რიონზე ნაოსნობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ საჭირო შეიქმნა რეგულარული ნაოსნობის დაწყება, რომელსაც უნდა უზრუნველყო როგორც დიდძალი ტვირთის, ისე ფოსტის გადატანა და მგზავრთა გადაყვანა.

პირველად შედარებით დიდი წყალწყვის ორთქლის გემის ორპირში მისვლის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის კ. ბოროზდინი²⁸. 1858 წ. მაისში „...როცა სტუმრად ვიყავი გეგიძესთან²⁹, ავტორი გულისხმობს ორპირს“ - (ო. შ.) მის სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიშავალი. ლაპარაკობდნენ მეორე დღისათვის ნავის დაქირავების შესახებ, ამ დროს შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა?

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ვილაცამაცა სთქვა: „აღბათ თოფი დაცალეს, დიდი ხმა იმიტომ ჰქონდა, რომ წყლის ზედაპირს გაჰყვა ხმაო“. მაგრამ

²⁵ საქ. სსრ ცნობა (თბილისი), ფონდი 324, ნაწ. 2, საქ. 140, ფურც. 75.

²⁶ ალ. დიუმა, კავკასია... გვ. 428, 429.

²⁷ იქვე, გვ. 430.

²⁸ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861, მოგონებანი (თარგ. ა. სახოკიას მიერ), თბ., 1934.

²⁹ იქვე, გვ. 302.

ზარბაზნის ხმა განმეორდა და ეზოში ჩოჩქოლი ატყდა და იძახდნენ „ორთქლ-
მავალი“, „ორთქლმავალი“.

თვალის დახამხამებაში გამოცევივდით ნაპირზე და დაეინახეთ პირველი
და სრულიად მოულოდნელი ორთქლმავალი გემი, რომელიც დიდი ხმაურობით
მიაპობდა რიონის ტალღებს. ყველას სიხარული აუწერელი იყო. გემმა კი-
დედ მოგვეკა სალამი ზარბაზნის საშუალებით, ხოლო ნაპირიდან ყველამ „ურა“
შებდავლა ხმამღლა, და როცა გემი ნავსადგურს მიაღვა, ერთი წამის განმავ-
ლობაში მოცევიდა აუარებელი ხალხი, კიბე ჩაუშვეს და გემის კაპიტანი ნაპი-
რად გამოვიდა. ყველამ გულში ჩაიხუტა როგორც სასიყვარულო სტუმარი...³⁰.
გემს „აკერმანის“ სახელწოდებით მართავდა კაპიტანი ბ. ზაბალოტინი, რომე-
ლიც მღ. დნესტრიდან დროებით მოყვანილი იყო ფოთში. გემი ფოთიდან გა-
მოსულა დილის 9 საათზე, არ შეხვედრია დაბრკოლება და არსად შეჩერებულა.
სალამოს 7 საათზე ორპირში იყო „აკერმანი“ აქ სამი დღე შეჩერებულა და
27 მაისს უკან დაბრუნდა ფოთში. ამჯერად გემით უმგზავრნია ქუთაისიდან
საგანგებოდ ჩამოსულს დიდ მოხელეებს და ფართო საზოგადოებას და, რო-
გორც კ. ბოროზდინი აღნიშნავდა „რეისმა მშვენივრად ჩაიარა და უკვე 7 სა-
ათის მგზავრობის შემდეგ ფოთში ვიყავით, სადაც ჩვენ მოგვეგება პორტის
უფროსი კაპიტანი კიტაევი, ათასეულის კომანდირი კორზიგინი და ინჟინერო
ლიალინი ქ. ფოთის მშენებელი³¹. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი აღ-
ტაცებით მიიღო გემის გამოჩენა. კაპიტანი ყველას იღებდა დასათვალისწინებ-
ლად გემზე“. ეს მგზავრობა დაკავშირებული იყო ფოთის ნავსადგურისა და
ქალაქის კურთხევასთან, რაც დიდი ზემოთ აღინიშნა, სადაც მონაწილეობას
იღებდა აგრეთვე ინგლისის ელჩი კამერინი³². ფოთში დაარსდა სანაოსნოს
სააგენტო, სადაც შეიძლება მგზავრობისა და საქონლის გადასატანად, ბი-
ლეთის შექმნა საზღვაო თუ სამდინარო ტრანსპორტზე, ბილეთის ყიდვა შე-
იძლება აგრეთვე გემის კაპიტანთან.

რიონზე ორთქლის გემის გამოჩენის შესახებ ცნობილი პოეტო, სარდალა
და სახელმწიფო მოღვაწე გრ. ორბელიანი 1858 წლის ივნისს დ. ჯორჯაძეს
სწერდა „რიონზე დაიწყო პარახოდმა სიარული; ფოთის გარშემო გაიკაფა
დიდი ადგილი, სადაც ახლავე ჰსახლედიან მრავალნი და იმედია, რომ მოკლე
ხანს გადაიქცეს ქალაქად, მრავალნი სომეხნი და ბერძენნი გადმოდიან ოსმა-
ლოდან საცხოვრებლად...“³³.

1854 წლის დასაწყისს ალ. დიუმა თვითმხილველი იყო იმისა, თუ ჯერ
კიდევ ნაკლებად დასახლებულ და მოუწყობელ ფოთში როგორ გამოცხადდა
ფოთი ქალაქად „ერთი დატაკი კაცი ხელში ბარაზნით ყოველ სახლთან ჩერ-
დებოდა და კითხულობდა დადგენილებას...“³⁴.

1860 წლის 23 დეკემბრის შედგენილი ხელშეკრულებიდან, რომელსაც
ამტიციებს კავკასიის მთავარმართებელი გენერალ ფელდმარშალი ბარატინსკი
ჩანს, რომ ფოთი-ორპირის ნაოსნობა უკისრია სანაოსნოსა და ვაჭრობის რუ-
სეთის საზოგადოების წარმომადგენელს დეისტევიტელნი სტატსკი სოვეტნიკ
ნ. ა. ნოვესელსკის, რომელიც კისრულობდა მღ. რიონზე ორთქლის გემით სამ-

30 ი ქ ვ ე, გვ. 303.

31 ი ქ ვ ე, გვ. 304.

32 ი ქ ვ ე, გვ. 212.

33 გ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. 11, გვ. 246.

34 ა ლ. დ ი უ მ ა, კავკასია..., გვ. 455.

გზავრო-საფოსტო რეგულარული მიმოსვლის განხორციელებას. შესრულებოდა კვირაში წასვლა-წამოსვლის ორი რეისი. ფოსტის გადატვირთვისათვის გაჩერების დროს გამოიყოფოდა მსუბუქი ნაგები საჭირო რაოდენობის მენიხებებით. სატრანსპორტ ტვირთის ერთი ადგილის გადატანის ღირებულება ღირდა 1 მან. და 32 კაპ. ე. ი. 3-ჯერ იაფი, ვიდრე რუსეთის სანაოსნო საზოგადოების ორთქლის გემზე „პოსრედნიკზე“, რომელიც ასრულებდა რეისებს დნეპრსა და ბუგზე, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებთან. მთავრობა კისრულობდა საზოგადოებისათვის ავანსად, ორი წლის ვადით მიეცა 140 ათასი მანეთი. ხელშეკრულების თანახმად 1861 წელს მ. რიონზე ფოთიდან ორპირამდე (80 ვერსი) დაიწყო რეგულარული სანაოსნო მიმოსვლა. ამისათვის დროებით გამოყენებული იქნა მდ. დნესტრიდან მოყვანილი გემი „აკერმანი“, ამავე დროს ინგლისიდან გამოწერილი იქნა ორი გემი³⁵. რიონზე გაკეთდა ნავმისადგომები: ფოთში, ჭალადიდში, სირიაჩქონში, კოდორსა და ორპირში.

მდინარეზე გემების მოძრაობის გადაადგილების მიზნით მოწყობილი იქნა რამოდენიმე „ბიჩივიკი“, ამავე დროს მთავრობამ გამოყო 25 კაცის შემადგენლობით ლოცმანები, რომლებიც ადგენენ მდინარის სიღრმესა და განსაზღვრავდნენ ფარვატერს, ყოველწლიურად სრულებოდა 105 რეისი, თითოეულ რეისზე სუბსიდიის სახით სახელმწიფო იხდიდა 250 მანეთს³⁶.

1861 წლის სექტემბერს ყუბანიდან ნოვოროსიისკის, სოხუმის გამოვლით ფოთის ნავსადგურის რეისზე დადგნენ იმპერატორ ალექსანდრე II და მისი თანხლები პირები, მათ შორის გრ. ორბელიანი, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ქუთაისის დასავლეთ საქართველოს თავდაზნაურთა შესახვედრად, მათ ფოთიდან-მარნაშელის მდინარის გემით იმგზავრეს, რომლის კაპიტანი კიტაევი ყოფილა. ეს მოგზაურობა დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ა. შერბაკოვს³⁷.

1864 წელს მდ. რიონის სანაოსნო გადაეცა გილდის ვაჭარს ნიკ. სუგოროვიცოვს, რომელმაც განაგრძო სანაოსნო საზოგადოების მიერ დაწყებული საქმე. 1865 წლის 15 მარტიდან ფოთსა და ორპირს შორის დადიოდნენ გემები „თავადი ბარიატინსკი“, „ნოვოსელსკი“, „ნადეჟდა“, „რიონი“ და სხვ.³⁸

ქვემო ქართლში ფონ-კუჩენბახის ფერმისა და რძის პროდუქტების გადაამუშავებელი საწარმოს საჭიროებისათვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1865 წელს შვეიცარიიდან გამოიწერა „შვაცის“ ჯიშის ძროხები და ბულები, რომლებიც საფრანგეთის ნავსადგურ მარსელიდან კონსტანტინოპოლამდე გემით გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ სხვა გემით ფოთამდე. აქედან გემით „ზევზლოჩკით“ პირუტყვი მდ. რიონით ორპირამდე მოიყვანეს, შემდეგ კი ქუთაისზე გამოვლით პირუტყვი უმნიშვნელო ზარალით დანიშნულ ადგილამდე მიიყვანეს. მათ მოყვანაზე ფერმერს დაუხარჯავს 4391 მანეთი³⁹.

მდ. რიონზე ორთქლის გემების რეგულარული მიმოსვლის დაწყებამ დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში.

³⁵ ი ქ ვ ე, ფურც. 22, 23, 26.

³⁶ ი ქ ვ ე, ფურც. 75.

³⁷ „Русская старина“, 1883, т. 40, № 10—12.

³⁸ საქ. სსრ ცსია, ანან, 1, საქ. 5637, ფ. 9.

³⁹ ა. ბ რ ე ვ ა ძ ე, რძის და რძის პროდუქტების წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში, ყურ. „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის და სამართლის სერია, 1979, № 4, გვ. 133.

⁴⁰ ვაზ. „დროება“, 1883, № 153, 222.

მათ ფოთის ნავსადგურიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გაქონდათ კაკლისა და ბზის მასალა, საკასრე ტკაჩი, სიმინდი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია⁴⁰. ამ სამდინარო მაგისტრალზე ორპირი გადაიქცა მსხვილ სავაჭრო ცენტრად. აქ მოეწყო მოხერხებული ნავმისადგომი და საწყობები. მომრავლდა დუქნები, სამიკიტნოები და ღამის სათევე ადგილები. გაშენდა ევროპული ტიპის პარკი, ქუჩებში შეხვედებოდათ მრავალ სხვადასხვა სახის ტრანსპორტს. მთელ საქართველოში ცნობილი იყო ორპირის ბაზრობა (ცხენისწყლის შესართავთან), სადაც იყიდებოდა საზღვარგარეთის, რუსეთისა და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია. ი. საჭილაველი 1898 წელს გაზ. „კვალში“ წერდა: „ვინ არ იცის, რომ ორპირი თავ ქალაქად ითვლებოდა სამოც-სამოცდაათ წლებში და უმთავრეს სავაჭრო ცენტრს შეადგენდა იმერეთ და გურია სამეგრელოსას, სადაც შემოდოდა ფოთიდან რიონით საზღვარგარეთის გემები და მასთან მრავალი ათასი ქარავენები სხვადასხვა შორეულ ქვეყნებიდან საქონლით დატვირთულები; ...ორპირი იძლეოდა ყოველგვარ სავაჭროებს ჩვენი ქვეყნისას და ჩვენი ქვეყანაც მასზე იყო დამოკიდებული“...⁴¹. მაგრამ 60-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, 1867 წელს რიონზე შეწყდა ორთქლის გემების რეგულიარული მიმოსვლა, ხოლო 1872 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნამ საგრძნობლად შეამცირა ტვირთბრუნვა მდ. რიონზე. ორპირმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. ზემოთ დასახელებული გაზ. „კვალის“ კორესპონდენტი ამის შესახებ აღნიშნავდა „გაიყვანეს თუ არა რკინის გზა და შეიქმნა ჩქარი მოგზაურობა ფოთსა და თფილის შუა, მაშინვე ორპირს სასიკვდილო ტკივილებმა დაუარეს“, ხოლო ბაქო-ბათუმის რკინიგზის... „ამოძრავებამ ორ-პირი სრულიად მიწასთან გაასწორა და მისი ვაჭრობა აქეთ-იქით მიაბნ-მოაბნია, ერთი ნაწილი გადავიდა იქვე ახლო-მახლო სადგურებში როგორც, მაგ., სამტრედია, საჯაოხო და აბაშა...“⁴². მიუხედავად შექმნილი ვითარებისა ადგილობრივი მოსახლეობა მაინც განაგრძობდა თავიანთი ნავეებით (კაიუკებით) ტვირთის გადაზიდვას და მასთან მგზავრების გადაყვანასაც, თუმცა არა იმ მასშტაბით, რაც წარმოებდა ორთქლის გემებით.

მე-14 საუკუნის დამლევსა და მე-XX საუკუნის დასაწყისს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად სასაქონლო ურთიერთობა მკვეთრად ვითარდება სოფლის მეურნეობაში, მან მოიცვა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს რიონისპირა მხარეც, სადაც განლაგებული იყო 70-მდე სოფელი 10 ათასი კომლით. მდინარის სანაპიროს გაყოლებით ნოყიერი ნიადაგი საშუალებას იძლეოდა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისა, რომელიც აკმაყოფილებდა მასზე მოსახლეობის მოთხოვნილებას, ხოლო ნამეტ პროდუქციას, რომელსაც ახლა ხარბად იღებდნენ, გაქონდათ რუსეთისა და საზღვარგარეთის ბაზრებზე.

ფოთის მსხვილ ნავსადგურად გარდაქმნა და ფოთის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აგრეთვე მდ. რიონის სანაპიროს გაყოლებით მთელი რიგი საწარმოების შექმნისათვის. აქ მოქმედებდა 10-ზე მეტი საშენებლო და მეთუნეობის (ავურისა და თიხის ქურჭლის) საწარმო, რამდენიმე ორთქლის წისქვილი, ხე-ტყის დამუშავების საწარმო (მარანის, აბაშის, ქალადიდის და სხვ.), დიდი რაოდენობით მზადდებოდა შეშა. წარმოებული

41 გაზ. „კვალი“, 1898, № 9.

42 იქვე.

პროდუქციის გარკვეული ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის გამოიყენებოდა, დანარჩენი კი ნავებით ფოთში გადაჰქონდათ.

XX საუკუნის პირველ წლებში ფოთში კაიუკებით ყოველწლიურად საშუალოდ გადაჰქონდათ სიმინდი — 500 ათასი ფუთი, ხე-ტყე — 60 ათასი ფუთი, აგური — 300 ათასი ფუთი, შეშა — 200 ათასი ფუთი, უკან დაბრუნებისას ფოთიდან მიჰქონდათ ცემენტი, ხორბლის ფქვილი, შაქარი, ნავთი და სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი, მაგრამ მდ. რიონზე ნაოსნობა არ წარმოებდა რეგულარულად და ორგანიზებულიად.

ამ გარემოებისათვის 1909 წელს ყურადღება მიუქცევია ფოთის ნავსადგურის ლოცმანს მარჯანიშვილს და თხოვნით მიუმართავს ფოთის ქალაქის მმართველისათვის, აგრეთვე კავკასიის ოკრუგის საგზაო მიმოსვლას სამმართველოსა და კავკასიის მეფისნაცვალისათვის, რათა მიეცათ მისთვის შეღავათის პირობებში უფლება დაეწყოს საბუქსირო სამგზავრო გეგმების რეგულარული მიმოსვლა მდ. რიონზე სოფ. ორპირიდან ფოთამდე, ოღონდ თუ მთავრობა იკისრებდა თავისი ხარჯით მდინარის ფორვარტერის მოწესრიგების საქმეს.

მარჯანიშვილი თავის თხოვნაში განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ფოთის ნავსადგურში ყოველწლიურად იზრდებოდა მდ. რიონის ტვირთის ნაკადის მოცულობა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ამკობინებდნენ ტვირთის გადატანას და მგზავრობას მდინარით, ვიდრე რკინიგზით⁴³. მეფის ხელისუფლებამ მარჯანიშვილის თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მდ. რიონზე რეგულარული სანაოსნოს აღდგენის აუცილებლობამ უფრო გარკვევით თავი იჩინა 1909-1913 წლებში. სულ 5 წლის მანძილზე ფოთიდან გატანილი იქნა — 10429226 ფუთი, ანუ საშუალოდ წელიწადში 2,1 მილნ. ფუთი სიმინდი⁴⁴. ეს სიმინდი უმეტესად მოწეული იყო რიონისპირა მიწებიდან.

ფოთიდან საზღვარგარეთ და კაპოტაყით გატანილი იქნა სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყე (ფუთობით)⁴⁵.

სულ 4 წლის 1910-1913 წწ. მანძილზე 2601159 ფუთი, ანუ საშუალოდ წელიწადში — 650000 ფუთი ხე-ტყე. მათი ტრანსპორტირება უმეტესად წარმოებდა მდ. რიონზე დიდი ჭალადიდური ნაევებით (კაიუკებით) და რკინიგზით.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების და ამიერკავკასიაში საომარი ვითარების შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს ნავსადგურებში მკვეთრად შემცირდა ტვირთბრუნვა. ნაწილობრივ შეწყდა მდ. რიონზე ნაევების მოძრაობა. რიონისპირა განლაგებული საწარმოების უმრავლესობამ შეწყვიტა მოქმედება, ისე, რომ მდ. რიონზე რეგულარული ნაოსნობის აღდგენა ვერ მოხერხდა.

ამის შემდეგ რამდენჯერმე წამოიჭრა რიონზე ნაოსნობის აღდგენის საკითხი, მაგალითად, 1918 წელს როდესაც თურქ ქემალისტებმა ბათუმი დაიკავეს ფოთი რესპუბლიკის მთავარი ნავსადგური გახდა. სამტრედია-ფოთის რკინიგზის ხაზის მეტად გადატვირთვის გამო დაიწყო შესწავლა რიონზე ნაოსნობის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ მისი რეალიზაცია მიჩნეული იქნა მიზანშეწონილად, რადგან იმ ხანებში ფოთში იდგა რესპუბლიკის სახმედრო

43 საქ. სსრ ცსია (თბილისი), ფონდი 1881, ნაწ. 1, საქ. 29, ფურც. 1.

44 იქვე, ფურც. 3.

45 იქვე, ფურც. 5.

და სავაჭრო ფლოტი, ნაწილი ამ ფლოტისა (მცირე წყალწყვის) მდ. რიონზე იმყოფებოდა, ყავდათ გამოცდილი მეზღვაურთა კადრებიც, მაგრამ ნაოსნობის ტექნიკური დასაბუთება არ გააჩნდათ. ამიტომ გზათა მიმოსვლის სამინისტრომ 1918 წლის ივნისს შექმნა კომისია ინჟ. პოპეს ხელმძღვანელობით რათა ტექნიკური დასაბუთება მიეღო. კომისიის მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო „ზოგიერთი ტექნიკური მხარის გამოსწორების შედეგად სასესებით შესაძლებელია 2 ფუტი წყალწყვის ვემების მოძრაობა მდ. რიონზე ფოთი — ორბიზამდე“. ამის შემდეგ იმავე წლის ოქტომბერს ინჟ. ტ. ს. საპიქველმა რესპუბლიკის გზათა მიმოსვლის სამინისტროს წარუდგინა ვრცელი ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება მდ. რიონზე ნაოსნობის დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ. მაგრამ მალე ბათუმი კვლავ დაუბრუნდა რესპუბლიკას და აღარ შეიქმნა საჭიროება ნაოსნობის აღდგენის. თუმცა ხელისუფლებას არც საამისო სახსრები გააჩნდა. მის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კვლავ აღიძრა რიონზე ნაოსნობის აღდგენის საკითხი, მაგრამ იმ დროს ბოლშევიკური მთავრობა კოლხეთის დაშრობის პრობლემით იყო დაინტერესებული.

უკანასკნელ წლებში ინგლისელ სწავლულისა და მეზღვაურის ტომ სევერინის მიერ უძველესი კონსტრუქციის ხომალდ „არგოთი“ განხორციელებულმა მოგზაურობამ საბერძნეთიდან შავი ზღვით ფოთამდე და შემდგომ რიონის აყოლებით ჭყვიშამდე, დაასაბუთა 3 ათასი წლის მითის რეალობა, რამაც საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტის“ ინიციატივით მოეწყო მრგვალი მაგიდა რიონზე ნაოსნობის აღდგენა-განახლების შესახებ. როგორც 1985 წლის 16 ივნისს გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, მრგვალი მაგიდის „ოქროს საწმისის სანაოსნოს“ მუშაობაში მონაწილეობა მიუღია რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწეებს. მათი უმრავლესობის აზრით, რიონზე ნაოსნობის აღდგენა ზოგიერთი ტექნიკური მხარის გამოსწორების გათვალისწინებით შესაძლებელია და იგი უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას⁴⁶.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც თანამედროვე გემის საყვირი კვლავ ამცნობს მოსახლეობას რიონზე რეგულარულ ნაოსნობის დაწყებას.

О. Х. ШАРАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ СУДОХОДСТВА НА РЕКЕ РИОНИ

Резюме

Отмечается, что с давних времен река Риони была судоходной, она представляла собой часть большого транзитно-торгового пути, связывающего европейские и азиатские страны.

В период феодализма судоходство на реке продолжалось. Оно имело большое значение для хозяйственной жизни местного населения, а кроме того, представляло для Грузии

⁴⁶ გაზ. „კომუნისტი“, 1985, 16 ივნისი, № 138.

(в соответствующих политических условиях) важную дорогу, связывая ее со странами черноморского побережья и Ближнего Востока.

С развитием капитализма возник вопрос о восстановлении старой Закавказской транзитно-торговой дороги. Между Поти и Орпирі начались буксирные перевозки, а затем регулярное движение паровых судов. Прогрессивно увеличивался объем товарооборота и перевозки пассажиров, но, ввиду начала строительства железной дороги Поти—Тбилиси, судоходство прекратилось. Несмотря на это, перевозка грузов продолжалась местным водным транспортом — каюками — до начала первой мировой войны.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სახალხო მეურნეობის ისტორიის განყოფილებამ.

მარინე ცუცქერიძე

რეგიონის დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაკროეკონომიკური შეფასების მეთოდური საფუძვლების სრულყოფის შესახებ

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია რეგიონის დარგობრივი სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება. იგი წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნის საფუძველს და თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნასა და რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევასაც უკავშირდება. დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენის განსაზღვრა სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე წარმოადგენს რეგიონის როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების დასაბუთების საშუალებას.

წარმოების განვითარების დონის მაკროეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს დარგობრივი სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირებით მიღწეული ეკონომიკური და სოციალური შედეგების ამსახველ მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენა, რომელიც განსაზღვრავს ამ ეკონომიკური სისტემის განვითარების პერსპექტივებს რეგიონის ეკონომიკის მართვაში გამოყენებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საშუალებით. რეგიონის ეკონომიკაში არსებული დეზორგანიზებული სამეურნეო კავშირების შეფასება მართვის სხვადასხვა დონეზე წარმოადგენს დამოუკიდებელი ეკონომიკის მართვისა და რეგულირების ძირითადი პარამეტრების დადგენის, დარგობრივი სისტემების განვითარების დონის შეფასებისა და წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის განსაზღვრის საფუძველს.

დარგობრივი სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება განუხრელად უკავშირდება რეგიონის საწარმოო პოტენციალისა და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის სრულ და რაციონალურ გამოყენებას. ამ პოტენციალის არარაციონალური გამოყენებით და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენით რეგიონში დაბალია და არასტაბილურია დარგობრივი სისტემების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე, რომელიც მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მერყეობასაც განაპირობებს. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მერყეობა და ზრდის ტემპების შემცირება მოქმედებს დარგებსა და საწარმოებს შორის დინამიკურ ეკონომიკურ კავშირებზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგების რეალიზაციაზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, საბაზრო ეკონომიკის წანამდგრებზე, დარგობრივი სის-

ტემების ელემენტებს შორის საბაზრო ეკონომიკური კავშირების შექმნის გაუმჯობესებაზე.

როგორც ცნობილია, დარგობრივი სისტემის ფუნქციონირების და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მაკროეკონომიკური შეფასების ერთ-ერთი საფუძველია საწარმოო ობიექტების, როგორც მისი ელემენტების ორგანიზაციისა და დარგობრივი სტრუქტურის მაჩვენებლების აგების მეთოდი. ამ მიმართულებით დარგობრივი სისტემა წარმოადგენს ერთდროულად ფუნქციონირებადი საწარმოო ელემენტების სისტემას, რომლებიც ამ სისტემის განვითარების მიზნის მისაღწევად მიმართული მატერიალური, ფინანსური და საბაზრო ურთიერკავშირების მაჩვენებლებით განისაზღვრებიან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით დარგობრივი სისტემების მაკროეკონომიკური სტრუქტურის განვითარება და სრულყოფა ამ სისტემების ფუნქციონირების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს. ამიტომ, დარგობრივი სისტემების მაკროეკონომიკური შეფასების მეთოდის მიზანს წარმოადგენს საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდის ფაქტორებისა და მათი განვითარების დონეთა შედარება, რომელიც ამ სისტემების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ინტენსიფიკაციის ფაქტორების გავლენის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს დარგობრივი სისტემების პროპორციული და ურთიერთდაბალანსებული განვითარება წარმოადგენს. მისი მიღწევა შესაძლებელია სახალხო მეურნეობის დარგებისა და საწარმოების სტაბილური ფუნქციონირების პირობებში, რომელიც მრეწველობის დარგობრივი სისტემების რაციონალური ტერიტორიული ორგანიზაციის მიღწევასთან ერთად მარკენტიზმის, როგორც მართვის ფუნქციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს და განსაზღვრავს მრეწველობის დარგების საბაზრო კავშირების სტრუქტურას, წარმოების სპეციალიზაციის განვითარებას, და უკავშირდება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

რეგიონის დარგობრივი სისტემების საწარმოო რგოლების, როგორც ამ სისტემების ძირითადი ელემენტების განვითარების დონე და დარგთაშორისი კავშირები განსაზღვრავენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს და წარმოების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას უკავშირდებიან სამრეწველო მასალებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების მწარმოებელი დარგებისა და იმ დარგების განვითარებით, რომლებიც რეგიონის ეკონომიკის ეფექტიან და სტაბილურ ფუნქციონირებას, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას განაპირობებენ და რეგიონის საბაზრო ეკონომიკის განვითარებას იმ დარგების საფუძველზე უზრუნველყოფენ, რომლებიც ეფექტიანია და აქტიურ როლს ასრულებს შიდა რეგიონული და რეგიონებს შორის საბაზრო ეკონომიკური კავშირების განვითარებაში, ამიტომ იგი წარმოადგენს რეგიონის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაზომიერ, საბაზრო რეგულირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

მრეწველობის განვითარების დონის მაკროეკონომიკური შეფასების ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ მისი დარგობრივი სისტემების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო დონის მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის სხვა დარგობრივი სისტემების საწარმოო შედეგებში მრეწველობის დარგობრივი სისტემების მატერიალურ დანახარჯებს.

ცხრილი 1.

კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ მრეწველობის დარგობრივი სისტემების დიფერენცირებული მატერიალური დანახარჯების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს¹.

დარგობრივი სისტემები	წარმოების შედეგების ერთეულზე დანახარჯების კოეფიციენტები			
	1982 წ.	1985 წ.	1987 წ.	1988 წ.
1. მრეწველობა	0,907	0,862	0,811	0,816
2. სოფლის მეურნეობა	0,838	0,823	0,638	0,883
3. საწარმოო ინფრასტრუქტურა	0,189	0,254	0,215	0,188
4. სხვა დარგობრივი სისტემები	0,459	0,393	0,459	0,326

დარგობრივ სისტემებში დიფერენცირებული მატერიალური დანახარჯების მაკროეკონომიკური შეფასების მიზნით გამოყენებული კოეფიციენტები (იხ. ცხრილი 1) მიუთითებენ, რომ მრეწველობაში საწარმოო შედეგების ერთეულზე დანახარჯები შემცირდა 9,1%-ით (1988 წელს), სოფლის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი 63,8%-მდე შემცირდა (1985 წელს) და 88,3%-მდე გაიზარდა (1988 წელს), საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებში იგი გაიზარდა 18,9-დან 25,4%-მდე (1985 წელს) და შემცირდა 21,5-დან 18,8%-მდე (1988 წელს). მშენებლობაში წინა პერიოდთან შედარებით მრეწველობის დარგობრივი სისტემების დანახარჯები საწარმოო შედეგების ერთეულზე გაიზარდა 0,98-ჯერ (1985 წელს) და შემცირდა 2,34-დან 1,88-ჯერ (1988 წელს). რეგიონის სხვა დარგობრივ სისტემაში ეს მაჩვენებელი შემცირდა 45,9-დან 32,6%-მდე (1988 წელს), დარგობრივი სისტემების დიფერენცირებული მატერიალური დანახარჯების მაკროეკონომიკური შეფასება წარმოადგენს რეგიონული რესურსების გამოყენების მაჩვენებლის და მისი განვითარების დონის დადგენის საფუძველს.

დარგობრივი სისტემების წარმოების განვითარებისა და ტერიტორიული სპეციალიზაციის დონეზე მიგვაჩვენებს რეგიონული რესურსების გამოყენების ინტენსივობის კოეფიციენტიც. ამ მაჩვენებლის მიხედვით სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ინტენსივობა მეტალურგიაში შეადგენს 0,15 (1988 წელს) და დაბალია საქართველოს მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, რესურსების გამოყენების ინტენსივობის მაჩვენებელი მიუთითებს მათ რაციონალურობაზე და რეგიონში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობაზე (კოეფიციენტის 1-ზე მეტი მნიშვნელობა რეგიონის სამრეწველო წარმოებაში რესურსების არაეფექტიანი გამოყენების მაჩვენებელია). საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებში ამ რეგიონული რესურსების გამოყენების ინტენსივობის კოეფიციენტი მაღალია და 0,37-ს შეადგენს, სოფლის მეურნეობაში — 0,21-ს, ვიდრე მრეწველობის დარგებში, სადაც იგი 0,13-ს აღწევს.

¹ კოეფიციენტები განჯარიშებულია საქართველოს რესპუბლიკის მასალების საფუძველზე.



აღნიშნული მრეწველობის დარგობრივ სისტემებში რეგიონული რეგულირების გამოყენების რაციონალურობაზე და შიდარეგიონული საბაზრო კავშირების განვითარების მიმართულულებზეც მიგვანიშნებს.

რეგიონის დარგობრივი სისტემების ფუნქციონირების განმსაზღვრელია მათი განვითარების დონის დიფერენცირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის დაბალი ტემპები, რეგიონის შესაბამის სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარებით, რომლებიც დიფერენცირებულია დარგობრივი სისტემების პროდუქციის მასალატევადობის, ფონდტევადობისა და შრომატევადობის მიხედვით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე პროდუქციის მაჩვენებლის მერყეობის გავლენა მასალატევადობის დონის მაჩვენებლებით განისაზღვრება. ნედლეულისა და მასალების დანახარჯების ზრდამ რეგიონის მრეწველობის ელექტრო და სათბობენერგეტიკულ დარგებში განაპირობა მასალატევადობის მაჩვენებლის ზრდა. მასალატევადობის დონის კოეფიციენტის 0,99-მდე გაზრდამ, ამ დარგში წარმოების დონის კოეფიციენტის 0,94-მდე შემცირება განაპირობა, მსუბუქი მრეწველობის დარგებში ეს კოეფიციენტები შესაბამისად შეადგენენ 0,98-ს და 0,96-ს, სამშენებლო მასალების წარმოებაში — 0,96 და 0,87-ს, ხის მასალის გადამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის წარმოებაში 0,95-სა და 0,93-ს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებაში 0,97 და 0,83-ს აღწევს, საქართველოს მრეწველობის სხვა დარგებში, მეტალურგიასა და კვების მრეწველობაში კოეფიციენტი, რომელიც მასალატევადობის შემცირების დონეს ახასიათებს შეადგენს 0,94-სა და 0,99-ს, რომლის საფუძველზეც წარმოების განვითარების დონის მაჩვენებლის ზრდამ 1988 წელს შესაბამისად 0,96 და 0,95 შეადგინა. მასალატევადობის დონის კოეფიციენტის მერყეობა დარგის საერთო პროდუქციის მაჩვენებლისა და მრეწველობის დარგობრივი სისტემის განვითარების დონის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მერყეობას განაპირობებს.

ტექნიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება რეგიონის დარგობრივ სისტემებში კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურის სრულყოფას უკავშირდება და დამოკიდებულია ფონდტევადობის დონეთა ურთიერთთანაფარდობის მაჩვენებელზე. იგი განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, როგორც ერთ-ერთი ძირითადი, მისი განმსაზღვრელი ფაქტორი. წარმოების ტექნიკური დონის ეს მაჩვენებელი მრეწველობაში შეადგენს 0,89-ს, ხოლო მისი გავლენით პროდუქციის ზრდის ტემპის კოეფიციენტმა 0,065 (6,5%) მიაღწია. დარგობრივ სისტემებში საწარმოო ფონდების გამოყენების დონის მაჩვენებელი წარმოების სტაბილური დონის მიღწევის და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ფონდტევადობის დონის კოეფიციენტით, როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული მაკროეკონომიკური მაჩვენებლით დარგობრივი სისტემების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება და რეგიონის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე განისაზღვრება. დარგობრივი სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენების დონეს უკავშირდება, რომლის მაჩვენებლების განსაზღვრისას ამ სამეურნეო სისტემებში მომუშავეთა როდენობა გაითვალისწინება, იგი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით შრომატევადობის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება, ამიტომ ინფრასტრუქტურის გამოყენების დონის კოეფიციენტები მშენებლობაში 0,66 შეადგენს (1988 წელს), მრეწველობის დარგობრივ სისტემებში

საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენების დონის კოეფიციენტები დაბალია და შეადგენს 0,33-ს, სოფლის მეურნეობაში მაღალია და 0,85-ს აღწევს. სოციალური ინფრასტრუქტურისა და სხვა დარგებში — 0,48-ს შეადგენს. ინფრასტრუქტურის დარგების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მათი განვითარების დონის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომელიც 42,9%-ს აღწევს. მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება და დარგობრივ სისტემებში საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენების დონის ამაღლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში ინტენსიფიკაციის როლზე მიგვანიშნებს. დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაჩვენებლები მრეწველობაში 28,5%, სოფლის მეურნეობაში 36,%, მშენებლობაში 14,2%, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში 20,7% შეადგენს. რეგიონის დარგობრივი სისტემების განვითარების დონეზე შრომის ნაყოფიერების შეფარდებითი ზრდის მაჩვენებლებიც მიუთითებენ, რომლებიც მრეწველობის დარგობრივ სისტემებში 2,8% შეადგენს, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სისტემებში 1,8%, მშენებლობისაში — (—) 11,6%-ს, სხვა დარგობრივ სისტემებში 3,2% და ამ დარგობრივ სისტემებში პროდუქციის მოცულობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს. დარგობრივ სისტემებში ამ ფაქტორის ერთეულზე პროდუქციის ზრდის კოეფიციენტი მრეწველობაში 0,25-ს, სოფლის მეურნეობაში — 0,16-ს, მშენებლობაში — (—) 0,12-ს და სხვა დარგობრივ სისტემებში 0,29-ს შეადგენს ამ კოეფიციენტებით წარმოების განვითარების დონე და იმ მაჩვენებლების ეკონომიკურ-ლოგიკური კავშირები განისაზღვრება, რომლებიც დარგობრივ სისტემებში მატერიალურ რესურსებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და დარგის სოციალური განვითარების დონეთა ურთიერთკავშირს ახასიათებენ. აღნიშნული ეკონომიკური კავშირების მაკროეკონომიკური შეფასების საფუძველს წარმოადგენს: 1. რეგიონის დარგობრივი სისტემების განვითარებს სოციალურ-ეკონომიკური დონის ინფორმაციულ-მიზნობრივი ანალიზი; 2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი; 3. დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაკროეკონომიკური ანალიზი და სისტემური ანალიზის მეთოდით მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დარგობრივი სისტემების ფუნქციონირება და მისი მაჩვენებლები დეტერმინირებული კავშირებით განისაზღვრებიან.

რეგიონის სახალხო მეურნეობის განვითარების დონის შეფასება მიზანშეწონილია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ფუნქციითა დეტერმინირებული სისტემისა და ფაქტორების ინდექსების მეთოდის საფუძველზე, რომლებიც დარგობრივი სისტემების განვითარების დონის მაჩვენებლებსაც წარმოადგენს. ამ მეთოდის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის განვითარების მაკროეკონომიკური შეფასება, რომლის დროსაც დარგობრივი სისტემების განვითარება განისაზღვრება ფუნქციითა სისტემისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დეტერმინირებული სისტემის საშუალებით:

$$| y(t) | -\{y_i(t)\}$$

დარგობრივი სისტემების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები $y_i(t), t_1, t_2, \dots, t_n$ დროის პერიოდებში განისაზღვრება X ფაქტორების დეტერმინირებული ფუნქციებით — $x_i(t)$. ამ მეთოდით მაჩვენებელთა დეტერმინირებული სისტემის

ელემენტებს შორის კავშირები წარმოადგენენ ფაქტორების ფუნქციას და განისაზღვრებიან შემდეგი დამოკიდებულებით:

$$y(t) = f(x_1(t), x_2(t), x_3(t), \dots, x_n(t), t)$$

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორების $x^1(t)$ და $x^0(t)$ სიდიდეებს შორის ფუნქციონალური კავშირი წარმოადგენს შესაბამისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მერყეობის განსაზღვრის საფუძველს შემდეგი ტოლობით:

$$\Delta y(t) = y^1(t) - y^0(t) = f(x^1(t)) - f(x^0(t)).$$

აღნიშნული მეთოდით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ინდექსი წარმოადგენს ფაქტორების ინდექსების ნამრავლთა ჯამს, რომელიც განსაზღვრულია მისი ფაქტიური დონის $y^1(t)$ და $y^0(t)$ მაჩვენებლებით. მისი განსაზღვრის მიზნით გამოიყენება ფორმულა:

$$I_i(t) = \frac{y_i^1(t)}{y_i^0(t)}$$

სადაც i — დარგობრივი სისტემა, $0 \leq I_i \leq 1$, ამიტომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდექსი I ფაქტორისათვის განისაზღვრება ამ ფაქტორების ინდექსების ნამრავლთა ჯამით $\sum_{i \in I} y_i(t)$, რომელიც ტოლია:

$$I(t) = \frac{1}{n} \sum_{i \in I} I_i(t) = \frac{1}{n} \sum_{i \in I} \frac{y_i^1(t)}{y_i^0(t)}$$

დარგობრივი სისტემების სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონის ინდექსების $I_1(t)$, $I_2(t)$ ნამრავლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდექსის $I(t)$ -ს ტოლია:

$$I(t) = I_1(t) \cdot I_2(t) = \frac{1}{n} \sum_{i \in I} \frac{y_{i1}^1(t) \cdot y_{i2}^1(t)}{y_{i1}^0(t) \cdot y_{i2}^0(t)}$$

დარგობრივ სისტემებში დეტერმინირებული კავშირები მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ფაქტორებს შორის განისაზღვრება შემდეგი წრფივი განტოლებით:

$$y(t) = a_0 + \sum_{i \in I} a_i x_i(t).$$

სადაც i — დეტერმინირებული სისტემის ელემენტების რაოდენობაა, კოეფიციენტებით განისაზღვრება დროის ფაქტორის გავლენა დარგობრივი სისტემების წარმოების ფაქტიური დონის მაჩვენებლებზე. დროის t პერიოდში წარმოების დონის მერყეობის გაანგარიშება შესაძლებელია დეტერმინირებული შეფასებების საფუძველზე, რომელიც ტოლია

$$\Delta y(t) = \sum_{i \in I} a_i x_i^1(t) - \sum_{i \in I} a_i x_i^0(t) = \sum_{i \in I} a_i \Delta x_i(t)$$

$\Delta y(t)$ მაჩვენებლები, რეგიონის დარგობრივი სისტემების საერთო პროდუქციის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტრუქტურას განსაზღვრავენ დროის t პერიოდში მატერიალური დანახარჯების საშუალო ნორმების $x_i(t)$ დეტერმინირებული შეფასებების საშუალებით.

დარგობრივი სისტემების ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრის მიზნით გაიანგარიშება პირდაპირი დეტერმინირებული კავშირების მაჩვენებლები, დარგობრივი სისტემების სოციალური ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით — დეტერმინირებული არაპირდაპირი კავშირების მაჩვენებლები, რომლებიც დამოკიდებულია ამ სისტემებში მომუშავეთა შემოსავალზე და სოციალური ფაქტორების რაოდენობაზე.

სოციალური განვითარების დონის მაკროეკონომიკური შეფასების მეთოდურ საფუძველს მომუშავეთა სოციალურად აქტიური დონეების და შრომის დარგობრივი დიფერენციაციის მაჩვენებლების ანალიზი წარმოადგენს. დარგობრივი სისტემების სოციალური განვითარების დონის ანალიზის და ამ სისტემიდან მიღებული შემოსავლის მაჩვენებლის საფუძველზე განისაზღვრება სოციალური ფაქტორების დეტერმინირებული სისტემის ელემენტები შემდეგი განტოლებით:

$$y(t) = \sum_{i \in I} Ax_i(t), \quad Ax_i(t) = \sum_{i \in I} \alpha_j y_i(t)$$

სადაც i დარგობრივი სოციალური დიფერენციაციის ელემენტებია, $y(t)$ — მომუშავეთა მატერიალური შემოსავალი t დროში, α_j — დარგობრივი სისტემიდან მიღებული მატერიალური შემოსავლის ხვედრითი წონის მაჩვენებელია, $j = \overline{I, m}$ — მაჩვენებელთა რაოდენობა.

$x_i(t)$ — სოციალური ფაქტორების გავლენით მომუშავეთა შემოსავალთან შეფარდებით მათი დანახარჯების ზრდის მაჩვენებელია.

სოციალური ფაქტორების გავლენა დარგობრივი სისტემების სოციალური განვითარების მაჩვენებლებზე განისაზღვრება განტოლებით:

$$\Delta y_i(t) = \sum_{i \in I} Ax_i(t) Y_i^0(t) = \sum_{i \in I} \sum_{j \in J} (1 - \alpha_j) \Delta x_i(t)$$

რეგიონის დარგობრივი სისტემების i -ური სოციალური ფუნქციონალის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები განისაზღვრებიან განტოლებით:

$$\Delta y_i(t) = \sum_{j \in J} (1 - \alpha_j) \Delta x_i(t)$$

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი დეტერმინირებული ფაქტორული მოდელის საშუალებით წარმოადგენს დარგობრივი სისტემების მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და წლიური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშების საფუძველს. სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის ეს მაჩვენებელი განისაზღვრება ფორმულით:

$$E_{\lambda} = \sum_{i \in I} \Delta a_i(\lambda, t) \Delta x_i(t)$$

სადაც i — რეგიონის დარგობრივი სისტემებია, $a_i(\lambda, t)$ — წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელია პროდუქციის ერთეულზე. λ და t მისი წარმოებისა და მოხმარების პერიოდებია.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით და ფაქტორების დეტერმინირებული სისტემის საფუძველზე შესაძლებელია დარგობრივი სისტემების ფუნქციონირების, მისი განვითარების დონეთა შეფასება, წარმოების ეკონომიკური ორგანიზაციული, და ტექნიკური პირობების განსაზღვრა. სოციალურ-ეკონომიკურ-

რი ეფექტიანობისა და დარგობრივი სისტემების განვითარების დონის ამაღლება გრძელვადიან პერიოდში რეგიონის ეკონომიკის განვითარების სტაბილური ტემპების მიღწევის, საწარმოო სისტემების საბაზრო ეკონომიკური კავშირების განვითარების საფუძველს წარმოადგენს. დარგობრივი სისტემების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება იმ ეკონომიკური ეფექტის ზრდას განაპირობებს, რომელიც საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ზრდით მიიღწევა.

М. В. ЦУЦКИРИДЗЕ

О СОВЕРШЕНСТВОВАНИИ МЕТОДИЧЕСКИХ ОСНОВ МАКРОЭКОНОМИЧЕСКОЙ ОЦЕНКИ УРОВНЯ РАЗВИТИЯ ОТРАСЛЕВЫХ СИСТЕМ РЕГИОНА

Резюме

В статье рассмотрены методические вопросы оценки макроэкономических показателей отраслевых систем региона, определены основные показатели уровня развития этих систем на примере республики Грузия, выделены принципы построения многофакторной макроэкономической модели оценки уровня развития и методы расчета эффективности функционирования отраслей народного хозяйства региона. На основе статистических материалов определены индексы социально-экономического развития отраслевых систем Грузии и особенности их развития в современных условиях перехода на межотраслевые рыночные экономические взаимосвязи.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სისტემური გამოკვლევების ლაბორატორიამ

А. ЧАНТЛАДЗЕ

ХОЗЯЙСТВЕННЫЙ РАСЧЕТ, СЕБЕСТОИМОСТЬ И ПРИБЫЛЬ В КОММУНАЛЬНОМ ХОЗЯЙСТВЕ ЗАКАВКАЗЬЯ (1920—1940 ГГ.)

Хозяйственный расчет основывается на экономической и управленческой взаимосвязи между мерой стимулирования коллективного труда и его конечными результатами на основе самостоятельности предприятий, материальной ответственности, коллективной и личной заинтересованности в развитии производства в условиях товарно-денежных отношений.

Хозрасчетные отношения выражают объективную необходимость с наибольшей эффективностью обеспечивать процесс воспроизводства на уровне предприятий. Хозрасчетные отношения проявляются в самоокупаемости предприятий в процессе выполнения ими планов производства и реализации продукции. Доходами от реализации созданной ими продукции предприятия покрывают расходы и получают излишек доходов над расходами — прибыль.

Хозяйственный расчет требует, чтобы каждое предприятие в результате своей деятельности не только возмещало собственными доходами затраты на свою деятельность, но и имело прибыль.

Прибыль формируется как разница между стоимостью продукции хозяйственных ячеек, выраженной в оптовых ценах предприятий (без налога с оборота) и затратами на ее производство (полной себестоимостью продукции).

Таким образом, сумма прибыли при неизменных оптовых ценах зависит от объемов производства и уровня себестоимости продукции.

Себестоимость продукции — затраты материальных и трудовых ресурсов на производство продукции или оказание услуг в денежном выражении. Речь может идти о затратах на всю массу продукции (оказание услуг) произведенной определенным хозяйственным звеном в определенный срок, или о затратах на выпуск определенного вида продукции с установленными потребительскими свойствами и отношениями на единицу ее измерения.

Таким образом, себестоимость продукции (услуг) представляет собой денежное выражение издержек предприятий, их текущие расходы на производство и реализацию продукции.

Себестоимость продукции и услуг коммунальных предприятий, как и себестоимость промышленной продукции, отражает все стороны хозяйственной деятельности этих предприятий.

Коммунальное хозяйство — важная отрасль народного хозяйства. Ее развитие направлено на повышение благосостояния и улучшение культурно-бытовых условий жизни трудящихся.

Основным методом управления коммунальными предприятиями является принцип хозяйственного расчета.

Перевод на хозяйственный расчет предприятий жилищно-коммунального хозяйства был осуществлен позже, чем в промышленности. В то время, как внедрение хозяйственного расчета в промышленности проходило быстрыми темпами и уже в 1927 г. он стал

основной системой управления промышленными предприятиями, в жилищно-коммунальном хозяйстве вплоть до 1931 г. еще широко применялась бюджетно-сметная форма финансирования, хотя законодательство о коммунальных трестах как хозрасчетных предприятиях относится к 1924—1925 гг. Медленный перевод коммунальных предприятий на хозяйственный расчет был следствием неупорядоченного в то время финансового хозяйства коммунальных органов и их слабой организационной работы.

В условиях сметной формы финансирования все доходы коммунальных предприятий поступали в бюджет, а расходы по их эксплуатации покрывались финансовыми органами независимо от получаемых доходов. Это сковывало хозяйственную инициативу предприятий, освобождало их от материальной ответственности за невыполнение своих обязательств, снижало заинтересованность в финансовых результатах деятельности. тем более, что во многих случаях доходы коммунальных предприятий шли на различные нужды городского хозяйства при неудовлетворении насущных потребностей самих предприятий.

Решительный сдвиг в области хозяйственного расчета в жилищно-коммунальном хозяйстве произошел в результате решений июньского (1931 г.) Пленума ЦК ВКП(б) «О московском городском хозяйстве и о развитии городского хозяйства СССР», потребовавших разработки и осуществления ряда практических мер по улучшению городских советов и действительному переводу национальных предприятий и жилищного хозяйства на хозяйственный расчет.

Взаимоотношения отдельных коммунальных предприятий и домовых трестов до решений июньского Пленума ЦК ВКП(б) складывались на основе полной увязки финансов этих предприятий и предприятий и трестов с местными бюджетами. В соответствии с этим, указанные предприятия и тресты включались в местный бюджет со всеми своими доходами и расходами.

Попытки к переводу на хозяйственный расчет производились и до решения июньского Пленума ЦК ВКП(б). Так, в г. Баку и в других городах Аз. ССР ряд предприятий был переведен на хозрасчет 1924/25 г. по 1926/27 г. включительно. В г. Тбилиси и др. городах ГССР до 1925/26 г. часть коммунальных предприятий также была переведена на хозрасчет. Это явление имело место и в Армении.

Однако необходимо отметить, что хозрасчет в той форме, как это проводилось до июньского Пленума ЦК ВКП(б), сводился, по существу, лишь к финансовому обособлению от местного бюджета. Даже формальная сторона вопроса — переход на устав трестов — не соблюдалась.

Решения июньского Пленума ЦК ВКП(б) поставили во весь рост вопрос о проведении подлинного хозрасчета во всей системе коммунального хозяйства ЗСФСР.

Согласно преподанным директив, в основу проведения хозрасчетов должны были быть положены следующие принципы:

1. Все коммунальные предприятия, за исключением бездоходных, должны быть сняты со сметного финансирования и переведены на хозрасчет.
2. В организуемых из нескольких предприятий трестах каждое предприятие должно быть также переведено на хозрасчет, а в предприятиях, подразделяющихся на цехи, службы и бригады, таковые, в свою очередь, тоже должны быть переведены на хозрасчет.
3. В связи с переводом на хозрасчет предприятий, цехов, служб,

бригад, должны быть установлены нормы расходов по отдельным элементам себестоимости продукции: выработаны коэффициенты трудовых норм, материалов, сырья, топлива (энергии) по каждому виду работ каждого предприятия, цеха, службы, бригады. Наряду с этим, должен быть введен учет как производственной деятельности каждой из переведенных на хозрасчет единиц, так и исполнения ею своего проффинплана. Учет по каждой хозрасчетной единице ведется обособленно, причем особо ведется учет производственной экономии.

4. Перевод на хозрасчет оформляется соответствующими договорами, причем в этих договорах устанавливаются и виды материальной ответственности хозрасчетных единиц за невыполнение работ к сроку или за низкое качество выработанной продукции.

5. На тех же принципах хозрасчета осуществляется и новое строительство коммунальных предприятий и жилых домов, причем строительство проводится, как правило, через социальные строительные организации.

6. Жилищное хозяйство также переводится на хозрасчет, причем дома, отнесенные к имуществу местных советов и эксплуатируемых последними непосредственно, или передаются жилкооперации или организуются из них домовые тресты. Каждый дом, включенный в трест, в свою очередь переводится на хозрасчет.

7. В основном, хозрасчет по жилфонду должен ставить своей целью:

- а) вовлечение всех жильцов в управление домом;
- б) правильный расчет квартплаты и др. платежей с жильцов;
- в) систематическая проверка правильности вносимой жильцами квартплаты;
- г) 100%-е своевременное поступление квартплаты;
- д) проведение нормированного домового бюджета;
- е) всемерное сокращение эксплуатационных расходов;
- ж) привлечение средств жильцов на производство ремонта домов;
- з) улучшение технического и санитарного состояния домов;
- и) проведение мероприятий, направленных на улучшение культурно-бытового обслуживания жильцов.

Еще в 1931 г. ряд коммунальных предприятий гг. Тбилиси и Баку были переведены на хозрасчет на новых принципах и на основе новых методов работы. В других, наиболее значительных городах проводилась предварительная подготовительная работа по переводу на хозрасчет, который был осуществлен в 1932 году.

В ряде городов переход на хозрасчет коммунальных предприятий не мог быть проведен по ряду причин. Первой из них являлось отсутствие на местах кадров руководителей и учетного персонала. Были переведены на хозрасчет: Баку, Ганджа, Тбилиси, Сухуми, Батуми, Кутаиси, Ереван, Ленинакан.

Переход на хозрасчет не принял достаточно глубокого характера, а именно: цехи, службы, бригады, подсобные предприятия не во всех случаях были переведены на хозрасчет.

